ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 21 ოქტომბერი 2008 №243 (3467)

ფასი 50 თეთრი




**ლადო ჩიხლაძე რუსს და მასონს ეთამაშება**

ქართველმა ჩოგბურთელმა ტურნირი მოიგო

8



**სტუდენტების აკადემიური ინტრიგა**

სარაგბო პლეი ოფს ბოლო ტური შეავსებს

8



**რუსთაველები უკრაინაში ვალის მოსახდელად წავიდნენ**

დღეს ენერჯი ევროსეზონს დაამთავრებს

12

# ჩემპიონთა ლიგა წრის შეკვრას იწყებს

## დღეს: იუვენტუსი VS რეალი




ასე ხალისობენ პორტუელები „დინამოსთან“ მატჩის წინ

# მწვრთნელისთვის ცხრილის ფსკერი დამღუპველია

## უმაღლესმა ლიგამ ექვს ტურში მეორე მწვრთნელი შეიწირა

ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ხვიჩა ქასრაშვილის წასვლა რუსთავის „ოლიმპიდან“ გარდაუვალი იყო.

სეზონის წინ გამუდმებით ვწერდით „ოლიმპის“ ტრანსფერებზე. თუკი ვინმე გამოჩნდა საქართველოში ახალი გუნდის მაძებარი, ლამის ყველა რუსთავში წავიდა. ბუნებრივია, ამ ტრანსფერებს სათანადო ომახიანი განცხადებებიც ახლდა გუნდის მიზნების თაობაზე.

ახლა კი რა: „ოლიმპი“ სეზონის დაწყებიდან მიჯრით ხუთი მოუგებელი თამაშით ცხრილის ფსკერზეა. ბოლო წაგებული მატჩის მერე კი ქასრაშვილმა პრესკონფერენციაზე სულაც ეს თქვა: არ გადის ეს გოლი და რა ვქნათ, აღარ ვიცითო.

ასეთ დროს ერთადერთი გამოსავალი არსებობს: მწვრთნელი გუნდიდან მიდის და ხვიჩა ქასრაშვილიც ასე მოიქცა. ახლა „ოლიმპს“ ვარლამ კილასონია გაწვრთნის.

ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ საამსეზონო უმაღლესმა ლიგამ უკვე მეორე მწვრთნელი შეიწირა. ქასრაშვილამდე ჰოსტი ცხინვალის „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა დატოვა. ეს სტარტიდან ზედიზედ ოთხი წაგების მერე მოხდა.





# როქი №2: ქასრაშვილი კილასონიამ ჩაანაცვლა

**საქართველოს** მე-20 ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე რუსთავის „ოლიმპი“ სერიოზულად გაძლიერდა — კლუბის ხელმძღვანელობამ ჩვენი პირობებიდან გამომდინარე საკმაოდ დიდი თანხა დახარჯა ტრანსფერებში. საკონტროლო მატჩებში „ოლიმპი“ ფავორიტულად გამოიყურებოდა და თითქმის ყველა ტესტ-მატჩში იმარჯვა, მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და გუნდმა ვერა და ვერ იპოვა საკუთარი თამაში — თასზეც ვერ ითამაშა დამაჯერებლად პირველლიგელ ზუგდიდის „ბაიასთან“.

ეროვნული ჩემპიონატის ხუთ შეხვედრაში „ოლიმპმა“ ვერცერთი გამარჯვება ვერ მოიპოვა — 3 ფრე გააზერხა და ორი წააგო.

გუშინწინ რუსთაველები ზუგდიდის „მგლებთან“ დამარცხდნენ (1:3) და „ოლიმპის“ თავკაცმა ხვიჩა ქასრაშვილმაც გუშინ წასვლის თაობაზე განცხადება დაწერა.

აი, რა გვითხრა „ოლიმპის“ ხელმძღვანელმა *ზურაბ ჯაფარიძემ*: „ძალიან გვიმძიმდა ქასრაშვილის გაშვება, მაგრამ მწვრთნელის საქმიანობა შედეგით იზომება. სამწუხაროდ, საწყის ხუთ ტურში კატასტროფული შედეგი მივიღეთ. დღეს ქასრაშვილმა თავად დაწერა განცხადება წასვლის თაობაზე. მის ადგილს ვარლამ კილასონია დაიკავებს, რომელიც გასულ სეზონშიც წვრთნიდა „ოლიმპს“, ის სეზონის ბოლომდე ჩაიბარებს გუნდს და მერე ვნახოთ...“

რუსთავის „ოლიმპის“ ახალ თავკაც *ვარლამ კილასონიას* გუშინვე დავუკავშირდით...

**— წინა სეზონში „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი იყავით, მოგვიანებით კი უკრაინელი ანატოლი პისკოვეცის თანაშემწედ მუშაობდით. მერე ხვიჩა ქასრაშვილი მოვიდა და თქვენ „ოლიმპი“ დატოვეთ. ასეთი ამბების შემდეგ იოლად მოახერხეს თქვენი დაყოლიება?**

— რუსთაველი კაცი ვარ, ჩემი საფეხბურთო კარიერის დიდი ნაწილი აქ გავატარე და ჩემი გული რუსთავულ ფეხბურთს ეკუთვნის. ახლა გუნდს უჭირს და ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში მინდა, რომ დავეხმარო.

**— როგორ ფიქრობთ, ასეთი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლა არ გაგიჭირდებათ?**

— ამ შემადგენლობით ბოლო საფეხურზე ყოფნა ალოგიკურია. ძალიან კარგი კონტინგენტია „ოლიმპში“ და მწამს, რომ მალე შევძლებთ მდგომარეობის გამოსწორებას.

**— კლუბის ხელმძღვანელობა თქვენგან რას ითხოვს?**

— პირველ ყოვლისა, გუნდის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა გამოსასწორებელი. ჩვენ ყველა მატჩის მოსაგებად უნდა ვიბრძოლოთ.

**— ქასრაშვილის თანაშემწედ მალხაზ ლაცაბიძე მუშაობდა. ის დარჩება „ოლიმპში“ თუ ახალ თანაშემწეს მიიყვანთ?**

— რამდენადაც ვიცი, ლაცაბიძემაც დატოვა გუნდი. ჩემი თანაშემწე არმაზ ჯელაძე იქნება.

**— რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმეთ?**

— სიმართლე გითხრათ, კონტრაქტზე ხვალ უნდა ვისაუბროთ.

**— პირველი ვარჯიშიც ხვალ გექნებათ...**

— დიახ, გუნდი წვრთნას თბილისში, „მერანის“ სტადიონზე გააგრძელებს.

ნუკრი ლოლაძე



გუშინწინ „დინამომ“ პირველი საამსეზონო გასვლითი მატჩი მოიგო — ახალციხეში „მესხეთს“ 3:1 სძლია, თუმც თამაშის შემდეგ მასპინძელთა თავკაცმა **კობა თედიაშვილმა** მსაჯობას გაჰკრა კბილი, პირველ ტაიმში გასაკეთებელი გააკეთესო. გეცოდინებათ, პირველ ტაიმში თამაში ორჯერ, ჯამში 15 წუთით შეწყდა — ქომაგები აგრესორობდნენ. პირველი ტაიმის მერე უკვე 0:3 იყო, თუმც თედიაშვილმა ჩვენთან საუბარში პირველ და მეორე გოლებზე გაამახვილა ყურადღება და დაამატა — მართალია, ყველაფერი მაინც მსაჯის შეცდომას მიეწერა, მაგრამ ეს უკვე შეცდომა არააო...

# კობა თედიაშვილი: რაც დინამოსთან მოხდა, შეცდომას ვერ დაარქმევ

— იქნებ, პრეტენზიებზე უფრო კონკრეტულად გვითხრათ?

— ფირზე ვნახეთ და აშკარად ჩანს, რომ დინამოელ გიორგი მერებაშვილს არცერთი ჩვენიანი არ ეხება. პენალტი არ იყო, მაგრამ ალექსანდრე კრიჭაშვილმა დანიშნა. მე მაშინვე გამოვხატე აღშფოთება, თუმც თავიდან მეგონა, რომ წესების დარღვევა საჯარიმოს გარეთ იყო. ფირზე კი ნათლად გამოჩნდა, რომ მერებაშვილს საერთოდ არავინ შეხებია.

— მეორე გოლზე?

— აშკარა თამაშგარედან გაგვიტანეს. კრიჭაშვილმა მიკერძოებულად იმსაჯა. როცა პირველივე ტაიმში ტყუილ პენალტს ნიშნავს და მერე ლამის ხუთმეტრიან თამაშგარეს ატარებს, რაღა უნდა ილაპარაკო?! ეს უკვე შეცდომა აღარ არის. 0:0-ია და წარმოიდგინეთ, არაფრისგან 0:2 ხდება. ასეთი ჩამორჩენის გაქვითვა „დინამოსთან“ კი არა, პირველი ლიგის აუტსაიდერთან გაგიჭირდება. მე არ ვამტკიცებ, მსაჯი ნაყიდი იყო-მეთქი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაც „დინამოსთან“ მოხდა, შეცდომა არ ჰქვია. ეს არ არის აუტი ან მოედნის ცენტრში დანიშნული ჯარიმა.

— კი მაგრამ, თამაში პირველ ტაიმში ორჯერ შეწყდა...

— ეს ცუდია. პენალტის დანიშვნის მერე გულშემატკივრები დამცავ ლობეს მოაწყდნენ. მერე მეორე გოლისას იყო მცირე არეულობა. საბედნიეროდ, მინდორზე არავინ გადმოსულა. მხოლოდ კლუბის პრეზიდენტები, ბუბა ტყავაძე და გია მესხელი ჩამოვიდნენ ტრიბუნიდან.

— შოთა გრიგალაშვილმა „დინამოსთან“ იმიტომ ვერ ითამაშა, რომ იქიდანაა თქვენთან განათხოვრებული?

— დიახ. ასეთი რამ, მგონი, მსოფლიოში აღარსად ხდება.

ილია ნანობაშვილი

# ყენიას ტაიმი და გაცივებული კობი

**ლევან ყენიამ** „შალკე II“-ში პირველი ტაიმი ითამაშა „ობერჰაუზენთან“ და მისიანებმა 4:1 იმარჯვეს. ჩვენიანს მე-17 წუთზე ჰქონდა კარგი მომენტი და ვერ გამოიყენა.

რაც შეეხება ლევან კობიაშვილს, გაცივებული ყოფილა და ამიტომაც არ უთამაშია გუშინწინ ძირითად გუნდში.

„შალკე II“-ში ყენიას გარდა „ხუმარათა“ ძირითადი გუნდის სხვა ფეხბურთელებმაც ითამაშეს: გუსტავო ვარელამ, კარლოს გროსმიულერმა, ალბერტ შტრაიტმა, პეტერ ლოვენკრანდსმა, ზე რობერტუმ და ჯერალდ ასამოამ, ვინაც „ობერჰაუზენთან“ დუბლი შეასრულა.

ილია ნანობაშვილი

# პატარქალიშვილმა მარადონა გამოაცხადა



დიეგო მარადონა
22 ოქტომბერს ჩამოვა...

**ლეგენდარული** დიეგო მარადონა და მისი მეგობრები თბილისში 22 ოქტომბერს ჩამოვლენ — ამის თაობაზე გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა ნიკო პატარქალიშვილმა.

„გვსურდა, 20-26 ოქტომბერს თბილისში ოთხთა ტურნირი ჩაგვეტარებინა. მასში ურუგვაის, არგენტინის, ბრაზილიის და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები მიიღებდნენ მონაწილეობას, გამარჯვებულს კი პრიზს მარადონა გადასცემდა, მაგრამ ცნობილ მიზეზთა გამო, ამ ტურნირის ჩატარება ვერ მოხერხდა. ამას მომავალი წლის ივნისში ვგეგმავთ...

...მაისში არგენტინაში ვიყავი და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა დამიკავშირდა, რომელსაც სურდა, მარადონა თბილისში შოთა არველაძის ფეხბურთიდან გაცილების აღსანიშნავად ჩამოგვეყვანა. მარადონას წარმომადგენლებს ვესაუბრე, მაგრამ არგენტინელმა დიდი თანხა მოითხოვა... სამაგიეროდ, ახლა მარადონა თავის მეგობრებთან ერთად გვეწვევა. 25 ოქტომბერს მარადონას მეგობართა ნაკრები საქართველოს ვეტერანთა ნაკრებს შეხვდება. თბილისში ჩამოდიან გოიკოეჩეა, მანკუსო, კანიჯა, ალმეიდა, ბორელი, ამატო და სხვები. ქართველთაგან კი ის გუნდი ითამაშებს, რომელმაც შოთას გაცილების შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა“.

ორგანიზატორთა თქმით, თამაშზე დასწრების მსურველებს ბილეთი 10-დან 150 ლარამდე დაუჯდებათ.

## ბულგარეთი

A ჯგუფი

ჩერნომორეცი 1:1 სლივენი

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

ლიბერეცი 3:0 იაბლონეცი

## დანია

პირველი დივიზიონი

მიდტიულანდი 2:1 ორჰუსი

## ინგლისი

პრემიერლიგა

ნიუკასლი 2:2 სიტი

II ლიგა

დარლინგტონი 2:1 ბრედფორდი

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

ტური 3:1 ლანსი

## იტალია

სერია B

პიაჩენცა 2:0 ასკოლი

სერია C1/A

პერგოკრემა 1:1 კრემონეზე

## შვედეთი

ალსვენსკა

იორებრო 3:1 ჰელსინგბორგი

სუნდსვალი 2:3 გეფლე

ჰამარბი 3:0 იურგორდენი

## ევროპის 2009 წლის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი

საბერძნეთი 1:2 ბოსნია

პოლონეთი 2:1 ჩერნოგორია

შოტლანდია 1:1 აზერბაიჯანი

უნგრეთი 6:0 სან მარინო

## ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი

ხორვატია 1:0 შვედეთი

სერბეთი 5:0 მოლდოვა

## გერმანია

II ბუნდესლიგა

ალემანია 2:0 მაინცი

## ირლანდია

პრემიერდივიზიონი

სტ. პატრიკსი 0:1 გალვეი

## ნორვეგია

ტიპელიგა

ვოლერენგა 3:1 ლილესტრიომი

## რუმინეთი

I ლიგა

გლორია 0:1 უნირეა

## თურქეთი

I ლიგა

რიზე 1:1 ალფაი

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 6 ტური

# ბორჯომული შფოთიანობა

## გორში თითქმის საქართველოს ნაკრები ვნახეთ



ჯაბა ლაპარტიას (№5) „ვიტ ჯორჯიამ" მურთაზ დაუშვილის „ზესტაფონს" აჯობა

**ორკვირიანი** სანაკრებო ციებ-ცხელების შემდეგ ისევე, როგორც მთელ ევროპაში, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატიც ამ უქმეებზე განახლდა და გინდ სტატისტიკის თვალსაზრისით, გინდ შფოთიანობით, საინტერესო-საყურადღებო გამოდგა.

–კენტგუნდიანობის გადამკიდე, დასვენება მეექვსე ტურში ბოლნისის „სიონს" ერგო და პირველ ყოვლისა, სწორედ გუნდის საზიანოდ — ქვემოქართლელები ჩემპიონატში კიდევ ერთი კვირა ვერ ითამაშებენ.

ტურის მთავარ მატჩს კი შაბათს გორმა უმასპინძლა და მიუხედავად იმისა, რომ „თენგიზ ბურჯანაძეზე" დასწრება უფასოა, ტრიბუნაზე სულ 500-მდე ქომაგი თუ მოგროვდა. არადა, მოედანზე ჩვენი ქვეყნის გამორჩეული გუნდები იყვნენ — „ვიტ ჯორჯია" „ზესტაფონს" დაუხვდა.

აქეთ-იქით ექვსი ფეხბურთელი იყო, რომლებიც სანაკრებო მატჩებისთვის ექტორ რაულ კუპერს ჰყავდა გამოძახებული და კვიპროსთან და ბულგარეთთან უთამაშებელ მეკარეებს, გრიგოლ ბედიაშვილსა და რონ კვასხაძეს თუ არ ჩავთვლით, არც ლუკა რაზმაძესა და არც ბექა გოცირიძეს თავიდან ბოლომდე არ უთამაშიათ. რაზმაძე შეცვალეს, გოცირიძე კი შეცვლაზე შევიდა.

სამაგიეროდ, 90 წუთი იყვნენ მოედანზე მცველები — ალექსანდრე კვახაძე და უჩა ლობჟანიძე. მატჩიც ისეთი დაძაბული და თვალსასეირო გამოდგა, როგორც ამ გუნდებს ეკადრებათ. ორივე კართან შექმნილი საკმაო მომენტების შემდეგ ნიკა გელაშვილმა იმარჯვა და ყოფილ თანაგუნდელებს გაუტანა.

„ზესტაფონი" დაწინაურდა კარგა ხანსაც მიჰყავდა ანგარიში, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ" ბოლოსკენ მაინც იძალა და გიორგი მელქაძის შორეული დარტყმით გათანაბრებულს, მალევე ვახტანგ კვარაცხელიამ მეორე და გამარჯვების გოლი მიაყოლა.

„ვიტ ჯორჯიამ" ეს პრინციპული მატჩიც მოიგო და ამასთან ცხრილში პირველობაც შეინარჩუნა.

დაწყვეტილი ნერვების ფასად დაუჯდა სტუმრად პირველი მოგება თბილისის „დინამოს". ჩემპიონები ახალციხის „მესხეთს" ბორჯომში ესტუმრნენ და მართალია, თამაშით მეტოქე დაჩაგრეს, ტრიბუნაზე მყოფ გიჟმაჟ ქომაგებს ვერაფერი მოუხერხეს.

ხალხი მსაჯობით იყო აღშფოთებული, თუმცა მათი რისხვა არც სტუმარ გუნდს ასცდა. ამ ამბავში თავისი „წვლილი" ახალციხელმა ფეხბურთელებმაც შეიტანეს — მსაჯის გადაწყვეტილებებს ხშირად მკვახედ რომ აპროტესტებდნენ და ამით ქომაგებს კიდევ უფრო აღელვებდნენ.

ისე მოხდა, რომ მატჩი ორჯერ შეწყდა, ხალხის დაშოშმინება პოლიციელებსაც უჭირდათ. თამაში ჯერ რვა წუთით შეჩერდა, მერე ხუთი წუთით.

ერთი რია-რია ატყდა მატჩის შემდეგაც. დინამოელებსა და მსაჯებს შეურაცხყოფა მიაყენეს, არავინ დაშავებულა, თორემ ბინძურ-ბინძური სიტყვები ბლომად კი იყო.

ისე, „ჯემალ ზეინკლიშვილზე" ეს არეულობის პირველი და მეორე შემთხვევა სულაც არ არის და ერთხელ თავადაც ვყოფილვარ ამგვარი ამბების ეპიცენტრში...

ფეხბურთის თამაშით კი, როგორც ვთქვით, თბილისელებმა აშკარად დაჯაბნეს ახალციხელები და სულ ბოლო წუთზე გელა სუდაძეს რომ არ ეყოჩაღა, „მესხეთი" დიდი ანგარიშით მარცხს ვერ გადაურჩებოდა.

სხვათა შორის, ნაკრებში გამოძახებული კიდევ ერთი ფეხბურთელი, გიორგი მერებაშვილი, ამ მატჩიც შეცვალეს, თუმც იქამდე მან პენალტი მოინაგრა და დინამოელთა ახალმა კაპიტანმა დავით ოდიკაძემ ამის შემდეგ შეძლო გუნდის დაწინაურება.

ისევ ვერ მოიგო რუსთავის „ოლიმპმა" და როცა ამ სტრიქონებს კითხულობთ, შესაძლოა, ეს კლუბი უმწვრთნელოდაც არის. ხვიჩა ქასრაშვილს „ოლიმპში" სახეირო არაფერი გამოსდის და მის მოხსნაზე უკვე ბევრს ლაპარაკობენ.

ამჯერად „ოლიმპს" ზუგდიდში „მგლებმა" აჯობა, არადა, სტუმრებს საკმარისი საგოლე მომენტი ჰქონდათ.

არ გაუმართლა „ოლიმპს" და ჩემპიონატის დაწყებამდე საჩემპიონო ამბიციის კლუბი ახლა ერთპიროვნული აუტსაიდერია. რუსთაველებს ჯერ თამაში არ მოუგიათ, არადა, შემადგენლობა ჰყავთ, ბევრი გუნდი რომ ისურვებდა, ისეთი... „მგლები" კი თამაშს თამაშზე იგებს და აგერ, ბატონო, მეორე ადგილზეც წამოსკუპებულა.

ბესიკ შეროზიას თქმით, მის ფეხბურთელებს ოსტატობა კი აკლიათ, მაგრამ სამაგიეროდ, ბრძოლისუნარიანები არიან და სწორედ ამ ფაქტორის ხარჯზე მეტოქეებს თავსატეხს არ აკლებენ. აკლებენ კი არა, ხშირად იქით ასწავლიან ფეხბურთის თამაშს.

კიდევ ერთი გოლი მიითვალა „ლოკომოტივისა" და მთლიანად ჩემპიონატის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფორვარდმა რატი ალექსიძემ, მისმა გუნდმა კი სტუმრად „ბორჯომს" აჯობა. კარგია, რომ ამ შეხვედრისას მაინც ბორჯომის სტადიონზე მშვიდობა იყო და არც მასპინძელ ფეხბურთელებს, არც ქომაგებს არაფერი გაუპროტესტებიათ, მით უმეტეს, ალექსიძის გოლს მალევე ლევან ცქიტიშვილმა მეორეც დაამატა.

„ოლიმპისგან" განსხვავებით კი, პირველი გამარჯვება იზეიმა „სპარტაკმა", რომელსაც მწვრთნელი შეეცვალა. კობა ჟორჟიკაშვილის ნაცვლად გუნდი სერგო გაბელაიამ და ვაჟა ტოგონიძემ ჩაიბარეს და პირველსავე შეხვედრაში „გაგრა" დაამარცხეს, გუნდი, რომელმაც რამდენიმე სენსაცია შემოგვთავაზა.

გოლები აქაც მეორე ტაიმში იყო: ჯერ კობა შალამბერიძემ იყოჩაღა, შემდეგ ირაკლი სირბილაძემ. ამ მოგებით კი „სპარტაკმა" ადგილი ფსკერზე სწორედ „ოლიმპს" გაუცვალა.

აი, ასეთი ამბები იყო ამ უქმეებზე. წინ კი კიდევ ბევრი საინტერესო გველის...

**კობა ინასარიძე**

### სიმბოლური ნაკრები

რატი ალექსიძე — ლოკომოტივი
გია თოდუა — მგლები
ვიტალი დარასელია — ლოკომოტივი
დავით ოდიკაძე — დინამო
კობა შალამბერიძე — სპარტაკი
გიორგი გულორდავა — მგლები
გიორგი მელქაძე — ვიტ ჯორჯია
გულვერდ თომაშვილი — დინამო
ბესიკ ხაჭიპერაძე — სპარტაკი
გიგა ბეჟვაია — ვიტ ჯორჯია
მაქსიმე ქვილითაია — სპარტაკი

გაგრა 0:2 სპარტაკი
ბორჯომი 0:2 ლოკომოტივი
მგლები 3:1 ოლიმპი
მესხეთი 1:3 დინამო
ვიტ ჯორჯია 2:1 ზესტაფონი
*სიონი ისვენებდა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 13 |
| მგლები | 6 | 4 | 0 | 2 | 10:5 | 12 |
| ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 7:2 | 12 |
| დინამო | 6 | 3 | 0 | 3 | 10:7 | 9 |
| ზესტაფონი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 |
| გაგრა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| ბორჯომი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| სიონი | 5 | 1 | 3 | 1 | 2:2 | 6 |
| მესხეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| სპარტაკი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| ოლიმპი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |

### ბომბარდირები

5 - ალექსიძე — *ლოკომოტივი*
გ. თოდუა — *მგლები*
4 - ვაწაძე — *დინამო*
3 - ლომაია — *მგლები*

### მეშვიდე ტური

24 ოქტომბერი. პარასკევი
სპარტაკი – სიონი
ზესტაფონი – მგლები
ოლიმპი – ბორჯომი
25 ოქტომბერი. შაბათი
ლოკომოტივი – გაგრა
მესხეთი – ვიტ ჯორჯია
*დინამო ისვენებს*

### პირველი ლიგა

დასავლეთი. მერვე ტური
ბაია 1:0 სამტრედია

# ჩხუბი!

## ბაქილელი აზერბაიჯანელები და ქართველები პოლიციამ გააშველა

**აზერბაიჯანულ** „ბაკილიში" მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს და ადგილობრივებთან უსიამოვნო ამბავი შეემთხვათ.

აზერბაიჯანული AZERISPORT-ის ცნობით, ჩხუბი „სიმურგთან" 0:2 წაგებული მატჩის შემდეგ მომხდარმა შელაპარაკებამ გამოიწვია — ემილ კიტელმანი და შოთა ჯიშკარიანი ერთმანეთს რაღაცაზე ვერ შეუთანხმდნენ და...

„ბაკილის" აზერბაიჯანელი ფეხბურთელები კიტელმანს გამოექომაგნენ. ჯიშკარიანს კი თანამემამულე თანაგუნდელები, დავით ქოქიაშვილი და გივი ჩხეტიანი ამოუდგნენ გვერდით.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტების თქმით, მოჩხუბართა დასამშვიდებლად პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო.

„ბაკილის" პრეს-სამსახური ირწმუნება, რომ ჩხუბისთავებს სასჯელი ელით და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

**ქახა შალამბერიძე**

# კახა ცხადაძე: დაწერონ, რაც უნდათ!



## „ბაქისთან" 0:2 მარცხის შემდეგ „სტანდარდის" მწვრთნელ კახა ცხადაძეს აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ესაუბრა. ლაპარაკი ცხადაძის „სტანდარდიდან" შესაძლო წასვლასაც შეეხო...

— ვფიქრობ, „ბაკიზე" ცუდად სულაც არ გვითამაშია, თუმც უხეშმა შეცდომებმა უქულოდ დაგვტოვა.

— ეთანხმებით იმ აზრს, რომ „სტანდარდს" ფატალურად არ უმართლებს?

— ამდენ საგოლე მომენტს რომ ვერ ვქმნიდეთ, სხვა საკითხია, თუმც მომენტებს ვქმნით და მის რეალიზაციაში მართლა მოვიკოჭლებთ.

— თუმც ბევრი სპეციალისტი ამბობს, „სტანდარდი" პრემიერლიგაში ყველაზე მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობსო...

— ეს მშვენიერია. აი, შედეგიც რომ დავურთოთ, უკეთესი იქნება.

— პირველ წრეში „გაბალასთან", „სიმურგთან", ნბს-სთან, „თურანთან" და მოიკ-თან დაგრჩათ სათამაშო. რამდენი ქულის აღებას გეგმავთ?

— უკვე დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეგვიძლია ქულების აღება. მხოლოდ ინდივიდუალური პრობლემები გვიშლის ხოლმე ხელს. უახლოესი მატჩი „გაბალასთან" გვაქვს და ეს გარდამტეხი თამაში იქნება.

— პირველი წრის შემდეგ ყველა ვარიანტში, შედეგის მიუხედავად, გუნდში ცვლილებები იქნება?

— ცვლილებები საჭიროა. რვა მატჩში მხოლოდ ხუთი გოლი გავიტანეთ, ასე რომ...

— ზოგმა წყარომ „სტანდარდიდან" თქვენს შესაძლო წასვლაზე დაწერა. ამაზე რას იტყვით?

— დაწერონ! ეს კლუბის ხელმძღვანელობის საქმეა და როგორც ისინი გადაწყვეტენ, ისე იქნება. მე ხუთეულში შესვლა დამისახეს მიზნად, რისი შანსიც ჯერ კიდევ გვაქვს და ამას უახლოეს ტურებშივე დავამტკიცებთ.

# ოთარ მარცვალაძე მწვრთნელმაც თქვა

**უკრაინის** პირველ ლიგაში კიევის „დინამო 2"-მა შინ 2:2 ითამაშა „კრიმტეპლიცასთან".

დავით იმედაშვილი 82-ე წუთზე შეცვალეს, ოთარ მარცვალაძე 46-ე წუთიდან გამოჩნდა მოედანზე, კახა ალადაშვილი კი ტრავმირებულია.

2:2-ზე მარცვალაძეს კარგი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა, რაც ნამატჩევს „დინამო 2"-ის მთავარმა მწვრთნელმაც აღნიშნა — მარცვალაძეს აუცილებლად უნდა გაეტანაო.

კიეველები მე-14 ადგილზე არიან.

**ქახა შალამბერიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | სამპდორია 3:0 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 0 | 6 |
| ლევან მჭედლიძე | პალერმო | ს | კატანია 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 1 | 10 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ბოლტონი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ჰამბურგი 1:1 | 0 | ავადაა | 5 | 0 | 6 |
| ლევან ყენია | შალკე | ს | ჰამბურგი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | შ | ბაიერნი 0:1 | 85 | შეცვალეს | 6 | 0 | 12 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | შ | ფიურტი 3:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 10 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | აუგსბურგი | შ | ზტ. პაული 3:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 15 |
| დავით თარგამაძე | ფრაიბურგი | ს | ნიურნბერგი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 2 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | ს | მატერსბურგი 6:5 | 90 | | 12 | 0 | 3 |
| ილია კანდელაკი | შტურმი | ს | მატერსბურგი 6:5 | 90 | გააფრთხილეს | 12 | 0 | 3 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბჟალავა | ა. ლუსტენაუ | შ | გრიოდიგი 2:1 | 0 | | 4 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | შ | ხიმკი 0:2 | 21 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 0 | 8 |
| დავით კვირკველია | რუბინი | ს | შინიკი 2:0 | 90 | | 22 | 3 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | შინიკი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 14 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | ს | შინიკი 2:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | ზენიტი 2:2 | 89 | საგოლე პასი, შეცვალეს | 20 | 1 | 10 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | ზენიტი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 24 | 3 | 10 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | შ | ზენიტი 2:2 | 8 | შეცვლაზე ითამაშა | 22 | 3 | 10 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | შ | ტომი 0:0 | 90 | | 22 | 2 | 15 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | დინამო | შ | ზარია 5:0 | 90 | | 4 | 0 | 1 |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | ზარია 5:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | ზარია 5:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | შ | ზარია 5:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | კარპატი 1:4 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 1 | 15 |
| ლადო ბურდული | ტავრია | შ | კარპატი 1:4 | 0 | | 1 | 0 | 15 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | ს | დინამო 0:5 | 46 | შეცვლაზე ითამაშა, შეცვალეს | 8 | 1 | 7 |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | ილიჩევეცი 0:1 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 0 | 9 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | შ | მ. დონეცკი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | შ | მ. დონეცკი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| ბექა ბერაშვილი | დნიპრო | შ | მ. დონეცკი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| სანდრო გურული | კარპატი | ს | ტავრია 4:1 | 62 | შეცვალეს | 3 | 0 | 11 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | ს | ტეპლიცე 3:2 | 0 | | 1 | 0 | 1 |
| დიმიტრი ტატანაშვილი | პლზენი | შ | სპარტა 1:1 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 1 | 12 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | ს | სტრედა 0:1 | 77 | შეცვალეს | 12 | 2 | 8 |
| მირიან ქითავა | ტატრანი | შ | არტმედია 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **შვეიცარია. თასი** | | | | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | ციურიხი | ს | შოფენჰაუზენი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით დევდარიანი | ორჰუსი | ს | მიდტიულანდი | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **დანია. I დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | როსკილდე 0:2 | 90 | | 7 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ცოცხალიბანქონი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

— შენზე ამბობენ, „ჰანზა“ — „კობლენცის“ იქდვა ეწერაო, მართალია? ხო დაჯდა? ისე, „კობლენცი“ კატენაჩოს თამაშობს, არა?

— მიდი, რა! ცხრა მეტრზე გაიწი, თორე ისე გცემ, შენს გადარჩენაზე ფსონს არ მიიღებენ.

— მაინც რამ დაგაწერინა, ტო! პროსტაამც, გეხვეწები, მითხარი, რა პონტში დაწერე. ნიჭიერი ხარ, რა! იქსდვაო და გუნდმა ცხრით ნოლი არ წააგო?

— მანდ რა მოხდა, იცი? ძმაკაცი მყავს გერმანიაში და მასტს „კობლენცის“ თამაში უნახავს რამდენჯერმე. იმან მითხრა, იმენა, სერიოზული გუნდიაო და „ჰანზასთან“ არ წააგებსო. მეც გავაქანე და ვლეწე იქსდვაში.

— ჰოო... მაგარი კობლენცობა მოგსვლია... დღეს რას ფიქრობ, შენს ძმაკაცს „ბაიერნ“ — „ფიორენტინაზე“ არაფერი უთქვამს?

— იმას არა, მარა, მე მაგარი ერთიანი მგონია. „ფიორეს“ იმენა გაარღვევენ. პროსტაამც, კლინსმანს ზედიზედ ორი თამაშია, არ მოუგია და ხო უნდა მოიგოს.

— ეეე– ფუტბოლი არა გცოდნია, ტო! შენ ცვეტში მარტო ბურთს უყურებ და მანდ რეები ხდება, აზრზე არა ხარ.

— რა ხდება?

— რა და, ლუკა ტონი გაგიგია?

— მერე?

— შენ იცი, რომ მაგის ტრანსფერის მაყუთი „ფიორენტინასთვის“ „ბაიერნს“ ჯერაც არ გადაუხდია? ის ფული შარშან უნდა მიეცათ და ბეკენბაუერმა შეჭამა. კლიენტს მამენტ დასჭირდა, ბანკიდან გაიტანა და შემოეხარჯა...

— ეგ რა შუაშია?

— იმ შუაშია, რო ხალხი დაასხდება „ბაიერნის“ ერთიანს, კლინსმანს კიდე ბეკენბაუერმა უთხრა, „ფორენტინას“ თამაში უნდა მივცეთო. ის ფული გადასახდელია, ძმაო. „კაიზერ ფრანცი“ ვერ იხდის, ზნაჩიტ, „ფიორეს“ მიუნხენიდან სამი ქულა უნდა გაატანონ და ტონის ვალი გაიქვითება.

— შენ საიდან იცი, რომ ეგრეა?

— შენ რო ძმაკაცი გყავს კობლენცში, მეცა მყავს მიუნხენში ჩერეზახლობლის დაქალი და იმ ბანკში მუშაობს, საიდანაც ბეკენბაუერმა „ფიორენტინასთვის“ გადასახდელი მაყუთი წაიღო.

**ბუში ბოშმარია**

ჩემი ბილეთი:
001. ბაიერნი — ფიორენტინა
შედეგი: ტონი თავის კარში სამ გოლს გაიტანს
სავარაუდო მოგება: ფლორენციული იები — კონა ათი შაური
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, სად იქეიფეს „კობლენცის“ ფეხბურთელებმა „ჰანზასთან“ მატჩის წინა დღეს.

114140 *

# რაფა, აგერო და ზაქი


სერხიო აგერო

**თურმე,** ორი წლის წინ „ლივერპულს“ არგენტინის ნაკრების თავდამსხმელის სერხიო აგეროს შეძენის შესაძლებლობა ჰქონდა, თუმცა მაშინ მერსისაიდელებმა არ გარისკეს და ნიჭიერი ახალგაზრდა „ინდეპენდენტედან“ საკმაოდ სოლიდურ ფასად, 14 მილიონ გირვანქად, მადრიდის „ატლეტიკოში“ გაიყიდა. ამჟამად 20 წლის აგერო ევროპული გრანდებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ფეხბურთელია. არგენტინელით მადრიდის „რეალი“, მილანის „ინტერი“ და ლონდონის „ჩელსი“ არიან დაინტერესებულნი და თუ მათ ფეხბურთელის შეძენა ნამდვილად სურთ, სულ ცოტა, 45 მილიონი გირვანქის გაღება მოუწევთ.

რაც შეეხება აგეროსა და „ლივერპულის“ კავშირს, ამის შესახებ „წითლების“ ესპანელმა დამრიგებელმა რაფაელ ბენიტესმა ისაუბრა: „ორი წლის წინ ახალი ფეხბურთელების შეძენის საკითხს განვიხილავდით, სავარაუდო სიაში აგეროს სახელიც ფიგურირებდა, მაგრამ მაშინ ის ძალიან ახალგაზრდა იყო და „ინდეპენდიენტე“ მას საკმაოდ ძვირად აფასებდა. სერხიოს შეძენა ჩვენთვის სარისკო იქნებოდა, რადგან პრემიერლიგა პრიმერადივიზიონისგან განსხვავდება და აქ ფეხბურთელებს თავიანთი პოტენციალის გამოსავლენად უფრო მეტი დრო სჭირდებათ“.

აქვე აღვნიშნოთ, რომ რაფა ბენიტესის ინტერესთა სფეროში „უიგანის“ თავდამსხმელი ამრ ზაქი მოხვდა. ეგვიპტელმა ფორვარდმა სწორედ მერსისაიდელებთან შეხვედრაში გაიტანა მაკრატელათი ულამაზესი გოლი და მართალია, „წითლების“ დამრიგებელი იმ მომენტში დაამწუხრა, მაგრამ, ამავდროულად, მასზე დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა.

„ასეთი ფეხბურთელის გადაბირება ყველა კლუბს მოუნდება, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მის ტრანსფერთან დაკავშირებით საკმაოდ რთული მდგომარეობაა შექმნილი“ — განაცხადა ბენიტესმა. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელზე ყველა უფლება ზაქის ყოფილი კლუბის, ეგვიპტური „ზამალექის“ ხელშია და ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში, „ლივერპულის“ ხელმძღვანელობას შეთანხმება სწორედ ამ კლუბის პრეზიდენტ მამადუ აბასთან მოუწევს.

**არჩილ ძიგახიძე**

# მხდალი იდიოტი

**„პორტსმუთისა“** და „ასტონ ვილას“ შეხვედრაში ტრიბუნიდან ნასროლმა ხურდამ თანამსაჯი დასცა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ამ საქმის გამოძიება განიზრახა. ლაინსმენი, რომელმაც „ვილა პარკზე“ ჩატარებული შეხვედრის მეორე ნახევარში თავზე ხელი იტაცა და ჩაიმუხლა, ფილ შარპია, რომელსაც საქმეში დაბრუნებისთვის მკურნალობა და პლასტირი დასჭირდა.

„ვილას“ პრესატაშე სტივ ტაჯი: „ვადასტურებ, რომ ფილ შარპს 50-პენსიანი მონეტა გაარტყეს. თანამსაჯს თავი გაეჭრა, მაგრამ, საბედნიეროდ, ნაკერების დადება არ დასჭირდა. ახლა ჩვენი კლუბი პოლიციასთან ერთად საქმეს გამოიძიებს. ვნახავთ ვიდეოკამერების ჩანაწერებს და როდესაც კონკრეტული ეჭვმიტანილი გამოიკვეთება, მას პოლიციელები მიხედავენ. ჩვენი მხრიდან კი, გულშემატკივარს, რომელმაც თანამსაჯს ხურდა ესროლა, ტრიბუნებიდან სამუდამო დისკვალიფიკაცია ელის“.



ამავე გუნდის მწვრთნელი მარტინ ონილი: „ეს სრულიად მიუღებელია. ფეხბურთში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ახალგაზრდა თანამსაჯს თავში ხურდა მოხვდა და აშკარად შოკში ჩავარდა. შეიძლებოდა, უარესიც მომხდარიყო. ვიმეორებ, ფეხბურთში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს“.

„პორტსმუთის“ თავკაცი ჰარი რედნაპი კი სტიარდებითა და სხვა ბარიერებით გამოყოფილ ქომაგზე უბრალოდ განრისხებული გახლდათ: „ვფიქრობ, ის ხურდა მე მესროლეს, უბრალოდ, ვერ მომაწვდინეს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ვისაც უნდა ჩაედინა ეს საქციელი, ის მხდალი და იდიოტია. ასეთ ვაჟკაცებზე ბევრს ვერ ილაპარაკებ. ვიმედოვნებ, რომ მას, ვინც ეს ჩაიდინა, სამუდამოდ დასჯიან. ჩვენს არაჩვეულებრივ თამაშში ასეთი ხალხის ადგილი არ არის“.

შეხვედრა ფრედ, 0:0 დასრულდა.

**ბაბუნა ბედია**

## სერენის შუათითი

**იტალიური** „ტორინოს“ მეკარეს მატეო სერენის დისკვალიფიკაცია ემუქრება. „კალიარისთან“ სერია A-ს მე-7 ტურის მატჩისას პიემონტელთა კარის დარაჯმა მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივრებს შუათითი აჩვენა. ამ შემთხვევას უახლოეს დღეებში სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს.

## კეიტა დაშავდა

**კატალონიური** „ბარსელონას“ ნახევარმცველმა სეიდუ კეიტამ ტრავმა მიიღო და მწყობრიდან ორი კვირით გამოვიდა. მალის ნაკრების ფეხბურთელმა პრიმერადივიზიონის მე-7 ტურში ბილბაოს „ატლეტიკთან“ შეხვედრაში კუნთი დაიზიანა და მატჩის 32-ე წუთზე მის ნაცვლად მოედანზე ბუსკეტსი გამოვიდა.

## უიფალუში ოთხს გააცდენს

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ მცველი ტომაშ უიფალუში ბარძაყის ტრავმის გამო თავისი გუნდის უახლოეს ოთხ მატჩს გამოტოვებს. ჩეხმა ფეხბურთელმა ტრავმა მადრიდის „რეალთან“ შეხვედრისას მიიღო და მატჩის 70-ე წუთზე შესაცვლელი გახდა.

## მეშახტეების ტრავმები

**დონეცკის** „შახტარმა“ ლისაბონის „სპორტინგთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩების წინ ერთბაშად ორი ფეხბურთელი დაკარგა: „მეშახტეების“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ილისინიუმ ფეხი მოიტეხა და წლის ბოლომდე გამოვიდა მწყობრიდან. მის თანამემამულეს, 21 წლის ლუიშ ადრიანუს კი ბრმანაწლავის ოპერაცია ჩაუტარდა და, ექიმების განცხადებით, ბრაზილიელი ფორვარდი უკვე ნოემბერში შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

## დიუმენმა ნაადრევად დაასრულა

**ფრანგული** „ნანსის“ 29 წლის ნახევარმცველმა ემანუელ დიუმენმა ქუსლის ქრონიკული ტრავმის გამო კარიერა ნაადრევად დაასრულა. ფეხბურთელმა ტრავმა 2007 წლის აგვისტოში ვარჯიშისას მიიღო და მას შემდეგ მოედანზე საერთოდ არ გამოჩენილა.

**არჩილ ძიგახიძე**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## E ჯგუფი

**ვილიარეალი — ოლბორგი**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**ვილიარეალი:** ლოპესი, ხავი ვენტა, გოდინი, გონსალო, კაპდევილა, კასორლა, ედმილსონი, სენა, პირესი, იორენტე, როსი
**ოლბორგი:** ზაზა, ოლფერსი, პედერსენი, ბოგელანდი, ბიუჩემპი, იოჰანსონი, კურტი, რისგარდი, ენევოლდსენი, საგანოვსკი, ბრემერი
**მსაჯი:** ფლორიან მაიერი (გერმანია)

**მანჩესტერი — სელტიკი**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ევრა, ფერდინანდი, ვიდიჩი, ნევილი, ნანი, ფლეტჩერი, ანდერსონი, კრიშტიანუ რონალდუ, ბერბატოვი, რუნი
**სელტიკი:** ბორუცი, ნეილორი, მაკმანუსი, კოლდუელი, ლოვენსი, ბრაუნი, მელონი, კროსასი, რობსონი, მაკდონალდი, მაკგიდი
**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)

# ფერგიუსონისგან დაჩაგრული სტრაჩანი

**ინგლისისა** და შოტლანდიის ჩემპიონებისგან ისეთივე ლაღ ფეხბურთს ელიან, როგორიც ორი წლის წინ იყო. მაშინ „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერმა" „სელტიკს" 3:2 მოუგო ლუი საას დუბლით და ოლე გუნარ სოლსკიაერის გოლით.

„მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგაში უკვე 15 საშინაო მატჩში არ დამარცხებულა, ხოლო „სელტიკს", რაც ლიგა არსებობს, 18 საგარეო შეხვედრიდან ერთიც არ მოუგია.

შოტლანდიურ კლუბებს „ოლდ ტრეფორდზე" სამჯერ უთამაშიათ. „სელტიკთან" ხსენებული მატჩის გარდა, „მანჩესტერმა" 2003-ში შინ „რეინჯერსს" 3:0 სძლია, 1984-ში კი უეფას თასზე „დანდი იუნაიტედს" დაუზავდა — 2:2.

„სელტიკი" ინგლისს შვიდჯერ ესტუმრა. სამჯერ გამარჯვებული დაბრუნდა, ორჯერ დამარცხდა და ამდენივე მატჩი ფრედ ითამაშა. 2002-03-ის სეზონში, უეფას თასის ფინალისკენ მიმავალ გზაზე, სელტიკელებმა ინგლისში „ბლექბერნს" და „ლივერპულს" ერთნაირი ანგარიშით მოუგეს — 2:0.

გლაზგოური კლუბის მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი ფეხბურთელობისას „აბერდინში", „მანჩესტერსა" და შოტლანდიის ნაკრებში ალექს ფერგიუსონის ხელქვეით თამაშობდა. გამწვრთნელების შემდეგ „ოლდ ტრეფორდს" ჯერ „ქოვენთრით", მერე კი „საუთჰემპტონით" რვაჯერ ეწვია და ფერგიუსონთან რვაჯერვე დამარცხდა. გლაზგოელებს დღეს იან ვენეგორ ოფ ჰესელინკი და იორგოს სამარასი ვერ დაეხმარებიან.

„მანჩესტერმა" შაბათს „ვესტ ბრომვიჩს" გადაურბინა — 4:0 მოუგო რუნის, რონალდუს, ბერბატოვისა და ნანის გოლებით.

„სელტიკმა" სტუმრად „ინვერნესს" აჯობა — 2:1. გოლები ბრაუნმა და ლოვენსმა გაიტანეს.

აქვე ვთქვათ, რომ ალექს ფერგიუსონის გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ბოლო რვა მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა.

„ვილიარეალი" „ოლბორგს" უმასპინძლებს, რომელიც დანიის ჩემპიონატში ბოლოდან მეორე ადგილზეა. „ოლბორგმა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებში სტუმრად ორივე თამაში მოიგო. ჯგუფში კი გლაზგოში „სელტიკთან" ფრე ითამაშა და, როგორც ჩანს, გასვლით შეხვედრებში უფრო ყოჩაღობს.

თავის მხრივ, „ვილიარეალი" ლიგის რვა საშინაო მატჩში ერთხელაც არ დამარცხებულა — ოთხი მოიგო და ამდენჯერვე სტუმრებს დაუზავდა. ისე კი, ბოლოს ევროთასებზე შინ 2006 წელს „მარიბორთან" (ინტერტოტოზე) წააგო.

„ვილიარეალი" დანიურ კლუბს ორჯერ შეხვედრია. 2004-ში ინტერტოტოს თასზე „ოდენსეს" გადაეყარა და ორივე თამაში მოუგო: „ელ მადრიგალზე" 3:0, სტუმრად კი 2:0.

„ოლბორგს" ესპანეთში ერთხელ უთამაშია — უეფას თასზე (1993) ლა კორუნიაში „დეპორტივოსთან" 0:5 დამარცხდა.

„ვილიარეალი" შაბათს ბარსელონაში „ესპანიოლს" უგოლოდ დაუზავდა, ხოლო „ოლბორგმა" შინ „ნორდსიელანდთან" 1:2 წააგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სელტიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ოლბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |



რონალდუ და რუნი გლაზგოელთა დასახვედრად ხალისით ემზადებიან

## F ჯგუფი

# საეჭვო ტონი და ჯილას დაპირება



კლინსმანი და ტრავმირებული ტონი

**ბაიერნი — ფიორენტინა**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**ბაიერნი:** რენზინგი, ოდო, ლუსიუ, დე მიკელისი, ლამი, შვაინშტაიგერი, ვან ბომელი, ზე რობერტუ, რიბერი, კლოზე, პოდოლსკი
**ფიორენტინა:** ფრეი, დაინელი, გამბერინი, გობი, კომოტო, მელუ, დონადელი, კუზმანოვიჩი, იოვეტიჩი, პაცინი, მუტუ
**მსაჯი:** ოლეგარიუ ბენკერენსა (პორტუგალია)

**სტიაუა — ლიონი**
**სავარაუდო შემადგენლობები**
**სტიაუა:** საპატა, ოგარარუ, გოინეა, გოიანი, პეტრე, ლოვინი, ნადიო, ნიკოლიცე, სტანკუ, მორენო, სემედუ
**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, გროსო, კრისი, ბუმსონგი, მაკუნი, ტულალანი, ჟუნინიო, ედერსონი, კეიტა, ბენზემა
**მსაჯი:** გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)

**მიუნხენის** „ბაიერნისა" და ფლორენციის „ფიორენტინას" შეხვედრას ყველა დიდი ინტერესით ელის. წესით, მატჩი ძალიან დაძაბული და კარგი სანახავი უნდა გამოდგეს.

„ბაიერნი" საუკეთესო ფორმიდან შორსაა, მაგრამ გასულ უქმეებზე, „კარლსრუესთან" თუნდაც წვალებით მოგება, მიუნხენელებს თავდაჯერებულობას მატებს. აი, „ფიორენტინა" კი ნელ-ნელა ფორმაში შევიდა და ჩეზარე პრანდელი გუნდს ძველებურად ათამაშებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისიც, თუ როგორ ითამაშებს თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ლუკა ტონი. თუმცა არის შანსი, რომ მან სულაც ვერ ითამაშოს. იტალიელი ფორვარდი „კარლსრუესთან" შეხვედრაში დაშავდა და ახლა ექიმების ხელშია.

„ახლა ვერაფერს გეტყვით. ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ტონიმ თამაში შეძლოს და იმედია, ასეც იქნება. ეს მატჩი გვაძლევს შანსს, ცალი ფეხი შემდეგ ეტაპზე დავდგათ. ამიტომ, ძალიან მოტივირებულნი ვართ, მაგრამ ვიცით, რთული შეხვედრა გველის" — თქვა მიუნხენელთა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა.

„იების" რიგებში ახლა ალბერტო ჯილარდინო ბრწყინავს, რომელიც პრანდელის ხელში ხელმეორედ დაიბადა და „ბაიერნთანაც" აქვს წარმატების იმედი.

„ტონის ტრავმა აქვს? დარწმუნებული ვარ, თამაშს შეძლებს და იმედია, გოლსაც გაიტანს, მაგრამ მე მასზე ერთით მეტს გავიტან" — ღიმილით აღნიშნა ჯილამ.

ლუკა ტონი: „ბრწყინვალე მოგონებები მაქვს „ფიორენტინასთან" დაკავშირებით, იქ ჩინებული დრო გავატარე. მახარებს ახლა გუნდს ასე კარგად მოთამაშეს რომ ვხედავ. პრანდელიმ იცის თავის საქმე და „იებს" ჯილარდინოს სახით დიდი ძალაც დაემატათ. აღვნიშნავ თუ არა გოლს, თუ გავიტან? არ ვიცი, გააჩნია, რა მნიშვნელობის იქნება ეს გოლი და რას ვიგრძნობ იმ მომენტში. ჩემი აზრით, გოლის ზეიმი ფლორენციელთა ფანებისთვის შეურაცხყოფის მიყენება არ იქნება. ვფიქრობ, საუკეთესო გამოსავალი აღნიშვნაა, ოღონდ გადაჭარბების გარეშე".

სხვებზე შედარებით წინ გაჭრილ „ბაიერნს" თუ არ ჩავთვლით, ჯგუფიდან გასვლის შანსი სხვა გუნდებს თანაბარი აქვთ. თუმცა, თუ ბუქარესტის „სტიაუამ" დღეს „ლიონთან" წააგო, რუმინელთა შანსები მინიმუმამდე შემცირდება და ეს მათაც კარგად ესმით.

„სტად ჟერლანზე" თამაში ადვილი არ არის, მაგრამ „სტიაუამ" არაფერი დაუთმო „ბაიერნს" და დასანანი მარცხი იწვნია, მერე კი ქულა წამოიღო „არტემიო ფრანკიდან". ასე რომ, „ლიონი" ფრთხილად უნდა იყოს. ფრანგებისთვის ფრე დამაკმაყოფილებელი შედეგი ნამდვილად არ იქნება და ცხადია, ისინი მოგებისთვის ითამაშებენ. ორივე გუნდის შემადგენლობა საბრძოლოა.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლიონი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ფიორენტინა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| სტიაუა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## G ჯგუფი



„პორტუს“ ორი არგენტინელი: ნელსონ ბენიტესი და ლუჩო გონსალესი

# არსენალის კარი თურქულზე აცრილია

**ფენერბაჰჩე — არსენალი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, ლუგანო, რობერტო კარლოსი, ედუ, ემრე ქაზიმი, ალექსი, გუისა, სელჩუქი, მალდონადო, სემიჰი

**არსენალი:** ალმუნია, სანია, გალასი, ტურე, კლიში, ნასრი, ფაბრეგასი, დენილსონი, უოლკოტი, ადებაიორი, ვან პერსი

**მსაჯი:** პეტერ ფრიოიდფელდტი (შვედეთი)

**პორტუ — დინამო**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ:** ელტონი, ალვესი, ბენიტესი, როლანდუ, სეპულვედა, გუარინი, გონსალესი, რაულ მეირელეში, ლისანდრო, როდრიგესი, ფერნანდო

**დინამო:** ბოგუში, ბეტაუ, გიოანე, ვუკოევიჩი, ელ ქადური, ალიევი, დიაქატე, ნესმაჩნი, მიხალიკი, ნინკოვიჩი, ბანგურა

**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

**ევროპის** ჩემპიონი ლუის არაგონესის ხელში „ფენერბაჰჩემ“ ვერ გაიბრწყინა. სტამბოლური კლუბი თურქეთის ჩემპიონატში მე-10 ადგილზეა, ლიგაში კი ერთი ქულით ბოლო საფეხურზე.

„ფენერი“ დღეს „არსენალს“ დაუხვდება, რომელსაც ორჯერ შეხვედრია. 1979 წელს თასების მფლობელთა თასზე „მეთოფეებმა“ თურქები შინ 2:0 დაამარცხეს, სტუმრად თამაში კი უგოლოდ დაასრულეს.

აღსანიშნავია, რომ „ფენერს“ შინ ევროთასებზე უკვე 15 მატჩია, არ წუგია, ინგლისურ კლუბებთან კი 13 შეხვედრიდან ოთხი მოიგო და ორჯერ ფრე ითამაშა. ოთხი წლის წინ „შუქრუ სარაჯოღლუზე“ „მანჩესტერს“ 3:0 სძლია, წლეულს კი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველ მატჩში „ჩელსის“ 2:1 მოუგო.

„არსენალი“ თურქულ კლუბს დღეს პირველად ხვდება მას შემდეგ, რაც 2000-ში „გალათასარაისთან“ უეფას თასის ფინალი პენალტებით წააგო. „მეთოფეებს“ თურქებისგან სამ მატჩში გოლი არ გაუშვიათ, თუ არ ჩავთვლით პენალტებს „გალათასარაისგან“.

არსენ ვენგერის გუნდმა ევროთასებზე ბოლო 18 გასვლითი მატჩიდან 12-ში კარი მშრალად შეინახა.

„ფენერბაჰჩემ“ თურქეთის ჩემპიონატში სტუმრად „ქოჯაელისფორს“ 3:2 მოუგო. გოლები დანიელ გუისამ, უღურ ბორალმა და სემიჰ შენთურქმა გაიტანეს.

„არსენალმა“ პრემიერლიგაში „ევერტონს“ უმასპინძლა და სამირ ნასრის, რობინ ვან პერსის და თეო უოლკოტის გოლებით 3:1 დაამარცხა.

პორტუს ეწვევა კიევის „დინამო“, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მოუგებელი 15 მატჩი მოუგროვდა. მათგან 11-ში დამარცხდა და 39 გოლი გაუშვა, თუმც ამ სეზონში იური სიომინის თავკაცობით ცოტა გამოსწორდა და ორივე მატჩი ფრედ დაასრულა. ჯერ კიევში „არსენალთან“, მერე კი სტამბოლში „ფენერბაჰჩესთან“.

„პორტუ“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო 11 საშინაო მატჩში დაუმარცხებელია. უკრაინულ კლუბებს ორჯერ უმასპინძლა და ორჯერვე მოუგო. 1987 წელს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „დინამოს“ 2:1 სძლია, ხოლო 1984-ში, თასების მფლობელთა თასზე — „შახტარს“ (3:2).

კიევის „დინამო“ პორტუგალიას ოთხჯერ ესტუმრა და ყველა მატჩი წააგო, მათ შორის ბოლოს — შარშან, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ლისაბონში „სპორტინგთან“ 3:0.

„პორტუმ“ შაბათს თასზე სტუმრად „სერტანენსეს“ 4:0 მოუგო, „დინამომ“ კი, ჩემპიონატში „ზარიას“ — 5:0. ბანგურამ დუბლი შეასრულა, ხოლო თითო-თითო ალიევმა, გიოანემ და ზოზულიამ გაიტანეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| დინამო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

## H ჯგუფი

# რეალის რეალური შანსები
## ფრთხილად, აქ ბატეა

**ზენიტი — ბატე**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ზენიტი:** მალაფეევი, შირლი, პუზონანი, ზირიანოვი, ანიუკოვი, პოუიგრენიე, დანი, დენისოვი, ტიმოშჩუკი, პოგრებნიაკი, არშავინი

**ბატე:** ვერემკო, ლიხტაროვიჩი, სოსნოვსკი, ვოლოდკო, კრივეცი, ნეხაიჩიკი, როდიონოვი, სტასევიჩი, კაზანცევი, რჟევსკი, იურევიჩი

**მსაჯი:** პედრუ პროენსა (პორტუგალია)

**იუვენტუსი — რეალი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი:** მანინგერი, გრიგერა, კიელინი, დე ჩელიე, სალიჰამიჯიჩი, სისოკო, ნედვედი, ჯოვინკო, ამაური, დელ პიერო

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, პეპე, კანავარო, ჰაინცე, გაგო, რობენი, ვან დერ ვაარტი, სნეიდერი, რაული, ვან ნისტელროი

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**ბოლო** წლებში „რეალისა“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირება ერთ-ერთ უმთავრესად იქცა. უკვე მერამდენედ, მადრიდელთა და ტურინელთა გზები იკვეთება და ვნახოთ, ამჯერად ვინ გამოვა გამარჯვებული.

ლოგიკურად, წარმატების უფრო მეტი შანსი „რეალს“ აქვს, რადგან რამდენიც უნდა იძახოს კლაუდიო რანიერიმ, კრიზისში არ ვართო, ფაქტი სახეზეა, „იუვენტუსს“ ძალიან უჭირს. ამას ტრავმების ეპიდემიაც ემატება, ჯანლუიჯი ბუფონისა და დავიდ ტრეზეგეს თამადობით, „ბებერ ქალბატონს“ საკმაოდ ბევრი წამყვანი მოთამაშე აკლია, რაც ამოცანას საგრძნობლად ურთულებს.

„რეალი“ კი, ფორმის პიკზე არ არის, მაგრამ მშვენივრად თამაშობს და შემადგენლობაც უფრო ძლიერი ჰყავს. არც იმდენი ტრავმა აწუხებს. საინტერესო იქნება, როგორ გაუძლებს „იუვეს“ სუსტი დაცვა მადრიდელთა მრისხანე შემტევ რგოლს.

„ცხადია, ცუდ დახვედრას ველოდები, ფეხბურთში ეს ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა ეს ვერ გადახაზავს იმ ორ ბრწყინვალე, ჩემი კარიერის საუკეთესო წლებს, რომელიც „იუვენტუსში“ გავატარე“ — განაცხადა „რეალის“ მცველმა ფაბიო კანავარომ.

მადრიდელთა თავდამსხმელი რუუდ ვან ნისტელროოი: „მადრიდული დერბის მოგებამ მორალურად გაგვაძლიერა. კარგია, რომ „ატლეტიკოს“ დამარცხება „იუვენტუსთან“ შეხვედრამდე მოვახერხეთ, რადგან მძიმე მატჩი გველის და ეს დადებითი ემოციური მუხტი გვჭირდებოდა“.

ალესანდრო დელ პიერო: „კარგი პერიოდი არ გვიდგას, მაგრამ ბრძოლა არ გვესწავლება. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სასურველ შედეგს მივაღწიოთ და ქომაგებს კიდევ ერთხელ არ დავწყვიტოთ გული“ — თქვა „იუვეს“ კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ.

დიკ ადვოკატის „ზენიტს“ ჯგუფიდან გასვლის ამბიცია აქვს და ამიტომ, ყველაფერს გააკეთებს ბატე-ს დასამარცხებლად. ბელარუსებმა „იუვენტუსთან“ ფრით ერთი სიურპრიზი უკვე შემოგვთავაზეს, მაგრამ სანკტპეტერბურგელებთან მძიმე სტუმრობა ელით და ძნელი სავარაუდოა, რომ თუნდაც ქულას გამორჩნენ.

„ზენიტის“ ნახევარმცველი კონსტანტინ ზირიანოვი: „რეალმა“ და „იუვენტუსმა“ გვაჩვენა, თუ როგორ უნდა გოლების გატანა. მათ თითქმის არაფრისგან გაგვიტანეს. ალესანდრო დელ პიერომ ჯარიმიდან, ხოლო მადრიდელებთან შეხვედრაში საკუთარ კარში გავიტანეთ გოლი. ჩვენ კი ლამის ცარიელ კარში ვერ გაგვქონდა. ეს ყველაფერი გამოუცდილობის ბრალია და ეს ჩვენს თამაშზე აისახება. ბატე-ს კი მაქსიმალურად სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ, ეს ახალგაზრდა და სახიფათო გუნდია. თანაც, ბელარუსებს ჩვენზე მეტი ქულა აქვთ“.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბატე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ზენიტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |



კონსტანტინ ზირიანოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ ვზივართ ნავში...



ექიმებმა ჩორლუკა გონს რის ვაი-ვაგლახით მოიყვანეს

**ისევ** „ტოტენჰემ ჰოთსპურზე“ გვინდა გელაპარაკოთ, რადგან ლონდონურ გუნდს ასეთი საშინელი სტარტი არსებობის 126-წლიანი ისტორიის მანძილზე არ ჰქონია. კვირას, 19 ოქტომბერს, ხუანდე რამოსის ქვეშევრდომებმა „ბრიტანია სტედიუმზე“ „სტოკ სიტისთან“ 1:2 წააგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი რვა თამაშის შემდეგ კვლავ მოგების გარეშე არიან და პრემიერლიგის ცხრილშიც ბოლო ადგილზე რჩებიან. რასაკვირველია, ამ ვითარებაში მწვრთნელის პასუხისმგებლობის საკითხი განსაკუთრებულად მწვავედ დგება.

მართლაც საშინელი გამოდგა „სტოკ სიტისთან“ თამაში რამოსის ქვეშევრდომებისთვის. დავიწყოთ იმით, რომ ორი მცველი, გარეთ ბეილი და მაიკლ დოუსონი მოედნიდან გააძევეს და გავაგრძელოთ იმით, რომ ვედრენ ჩორლუკა საკუთარ მეკარეს, ეურელიო გომეშს შეასკდა და გონებადაკარგული მოედნიდან გასაყვანი შეიქნა (ხორვატი მცველი გონს მხოლოდ ჰოსპიტალში მოვიდა). ერთი სიტყვით, რამოსს საქმე გაძლებაზე აქვს, მის თავზე კი საავდრო ღრუბელი სულ მეტად და მეტად იყრის თავს. დღეს უკვე ველარავინ ამბობს, კვლავ დაუჭერს თუ არა ესპანელ მწვრთნელს მხარს „სპურზის“ თავმჯდომარე დენიელ ლივი.

„თავად არ ვიცი ლივი კვლავ ჩემსკენ არის თუ არა — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რამოსმა — ეს მას უნდა ჰკითხოთ. როდესაც ნებას დამრთავს, ამ საკითხზე აუცილებლად დაველაპარაკები. საქმე ის გახლავთ, რომ ის ძალიან დაკავებული ადამიანია და შესაძლოა, ამ კვირაში ვერც კი მოიცალოს ჩემთან სალაპარაკოდ. არადა, ამის გამო საკმაოდ ვღელავ, რადგან ჩვენს გარშემო შექმნილი ვითარება ძალიან არ მომწონს. „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ მწვრთნელობა ჩემი სამსახურია და იქ შექმნილი პრობლემების გადასაწყვეტად ძალ-ღონეს არ ვიშურებ.

პასუხისმგებლობა? რასაკვირველია, პასუხისმგებლობა მეკისრება, მაგრამ ნებისმიერ მოგებასა თუ წაგებაზე პასუხისმგებლობა კლუბის ნებისმიერ სხვა თანამშრომელსაც ეკისრება. შექმნილ მდგომარეობას მხოლოდ მუხლჩაუხრელი შრომით თუ შევცვლით“.

საინტერესოა, რომ რამოსს მხარი „სტოკ სიტის“ მწვრთნელმა, ტონი პულისმა დაუჭირა. მან ლივისა და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ სხვა დირექტორებს მოუწოდა, თავიანთი გუნდის ახლანდელ თავკაცს მაინც მოექცნენ სამსახურიდან ერთი წლის წინ განთავისუფლებული ჰოლანდიელი მარტინ იოლისგან განსხვავებით.

„იმედი მაქვს, რომ ლონდონელთა თავმჯდომარე, რომელმაც ამის წინ ძალიან პოპულარული მწვრთნელი მოიშორა თავიდან, რამოსს მაინც დაუჭერს მხარს და მდგომარეობის გამოსწორების საშუალებას მისცემს. „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ აშკარად კარგი ფეხბუთელები ჰყავს, ასე რომ, ახლა საქმე დირექტორატის ნებასა და სიმტკიცეზეა. რამოსს კი მცირე იღბალი სჭირდება. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის მისი სიტუაცია ძალიან ნაცნობია. მწვრთნელები, ყველანი ერთ ნავში ვსხედვართ და ერთი და იგივე ისტორიების მონაწილენი ვხდებით. საკმარისია შედეგები გაუარესდეს, რომ ჩვენს წინააღმდეგ ლაშქრობა იწყება“ — თქვა პულისმა.

**ბაპუნა ქედია**

# ტყავიდან გამომძვრალები

**„ბარსელონას“** თავკაცმა ხოსეპ, იგივე პეპ გვარდიოლამ კატეგორიულად უარყო, თითქოს მისი გუნდის თამაში თავიდან ბოლომდე ორ ვარსკვლავზე, ლეო მესისა და ხავიზე იყოს დამოკიდებული.

რატომ გაჩნდა ეჭვი, რომ „ბარსას“ მესისა და ხავის გარეშე მარილი აკლია? იმიტომ, რომ კატალონიელებმა ბილბაოში ადგილობრივ „ატლეტიკთან“ გაჭირვებით მოიგეს, 1:0 და მიმდინარე სეზონში პირველად მოხდა, რომ ხსენებული ვარსკვლავები მოედანზე არ იყვნენ. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მიუხედავად იმისა, რომ მესი და ხავი აკლდათ, გვერდიოლას ბიჭებმა მაინც გაიმარჯვეს. გოლი ტიერი ანრის დახმარებით სამუელ ეტოომ გაიტანა, მწვრთნელმა კი გაიხარა, რომ მის კრიტიკოსებს ბევრი სალაპარაკო არ მიეცათ.

„აი, დღეს რომ დავმარცხებულიყავით, ხალხი მაშინ იტყოდა, ხავისა და მესიზე ზედმეტად ხართ დამოკიდებულიო, მაგრამ ჩემმა ფეხბურთელებმა მოიგეს და ამ მოგებით დაამტკიცეს რომ ჩვენ ყველანი ერთი გუნდის ნაწილი ვართ. ცალკეული ადამიანები „ბარსელონაში“ გადამწყვეტ როლს სულაც არ თამაშობენ.

ამის შემდეგ 37 წლის მწვრთნელმა მეტოქე შეაფასა:

„ბილბაოელებს ისეთი გუნდი ჰყავთ, რომელსაც მეტოქისთვის უამრავი პრობლემის შექმნა შეუძლია. განსაკუთრებით ძნელი „სან მამესზე“ გამარჯვებაა“.

ბოლოს კი გვარდიოლამ თავის ფეხბურთელებს გადაუხადა მადლობა:

„ხალხის თვალში იმაზე უკეთესი მწვრთნელი ვჩანვარ ვიდრე სინამდვილეში ვარ. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩემს გუნდში უძლიერესი ფეხბურთელები მყავს. დღეს, ამ უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მისაღწევად ისინი ტყავიდან გამოძვრნენ“.



ხოსეპ გვარდიოლა

შეგახსენებთ, რომ სეზონი „ბარსელონამ“ შედარებით მძიმედ დაიწყო, მაგრამ ეშხში მალევე შევიდა და ყველა შეჯიბრებაში ერთად აგერ უკვე მეშვიდე გამარჯვებას მიაღწია. ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში, ამ მოგებათა რაოდენობა შესაძლოა რვამდე გაიზარდოს, რადგან კატალონიელები მართალია სტუმრად თამაშობენ, მაგრამ მათი მეტოქე მათზე სუსტი „ბაზელია“.

**ბაპუნა ქედია**



# ჯერ ლურჯებს უნდა აჯობოთ

**ახლო** წარსულში ცნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა, „ლივერპულის“, „ტოტენჰემისა“ და „საუთჰემპტონის“ მოთამაშემ, ეროვნულ ნაკრებში 17 კეპისა და ერთი გოლის მომხვეჭმა ჯეიმი რედნაპმა, რომელიც 2005 წელს ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ მიმომხილველობას მისდევს და „სკაი სპორტსა“ და „დეილი მეილში“ მუშაობს, თავისი მსმენელისა და მკითხველის ყურადღება ამჯერად მიდლსბროში „ჩელსის“ 5:0 გამარჯვებაზე გაამახვილა. მაგრამ, სანამ მის ნააზრევს გაგაცნობდეთ, შეგახსენებთ, რომ რედნაპისთვის („პორტსმუთის“ თავკაცის ჰარი რედნაპის ვაჟია), მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდში არასდროს უთამაშია, ლონდონელთა გამარჯვება განსაკურებით სასიხარულოა, რადგან „ლურჯების“ ერთ-ერთი წამყვანი ვარსკვლავი, ფრენკ ლამპარდი მისი დეიდაშვილია.

რედნაპი წერს: „ჟოზე მაურინიუს ხელში „ჩელსი“ კეთილგანწყობილი ხალხის შეძენისთვის არ იბრძოდა, მისი ბრძოლა მხოლოდ ჯილდოების მოგებისკენ გახლდათ მიმართული — და, მოდი ვაღიაროთ, რომ ეს საქმე საკმაოდ კარგად გამოუდიოდა — შაბათს კი, მიდლსბროში, სხვა შინაარსის გუნდი ვიხილეთ. ეს იყო ხავერდოვანი, თავისუფალი, სანახაობრივი „ჩელსი“, რომლის ფეხბურთელებსაც საკუთარი თამაში თითქოს უკვე სიამოვნებდათ. ასეთ გუნდს ჯილდოების გარდა მეგობრების შეძენაც შეუძლია.

„რივერსაიდ სტედიუმიდან“ რომ გამოვდიოდი, გავიფიქრე, ნატავ პრემიერლიგის მომავალს ხომ არ ვუყურემეთქი.

რასაკვირველია, მშვენივრად ითამაშა „მანჩესტერ იუნაიტედმაც“ „ვესტ ბრომვიჩთან“ მეორე ტაიმში. ყველაზე მეტად გამოცოცხლებული ჩანს „ლივერპული“, რომელმაც დაამტკიცა, რომ არც მეტი არც ნაკლები, ფერნანდო ტორესის გარეშეც შეუძლია მოგება. ასეთ პირობებში, შარშან, თუ გახსოვთ, ლივერპულელებმა „უიგანს“ ვერ მოუგეს. მაგრამ, „ჩელსი“ თან ლიდერობს და თან გზას მიუთითებს.

საინტერესოა, რომ შაბათს ლონდონელებს ბევრი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ მისი ძირითადი შემადგენლობა პრემიერლიგაში მაინც უძვირესი იყო. ეს გუნდის ხარისხზე მიუთითებს.

ნიშანდობლივია, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარის ხელში განაპირა მცველები ბრაზილიური წესით, შეტევისკენ მიისწრაფვიან. მაურინიუს დროს ისინი ცენტრალურ მცველებს იყვნენ მიწებებულნი და გაუვალ ოთხეულს ქმნიდნენ. მაშინ, ნებისმიერს, ვინც წინ წავიდოდა, დაუყოვნებლივ უკან აბრუნებდნენ. რასაკვირველია, ახალ სტილს ნამდვილ გამოცდას „მიდლსბროზე“ ძლიერი გუნდები მოუწყობენ. კრიშტიანუ რონალდუს განაპირა მცველებისგან მიტოვებული სივრცეების წარმოდგენამ შესაძლოა სიამოვნების ღიმილიც მოჰგვაროს...“

და აქ ჯეიმი რედნაპი რონალდუსა და „მანჩესტერზე“ გადადის.

„ძალიან მაინტერესებს, რატომ არ გაუხარდა კრიშტიანუ რონალდუს „ვესტ ბრომვიჩის“ კარში გოლის გატანა? რაღაც არ უნდა იყოს მანდ მთლად კარგად. იქნებ მასზე „იუნაიტედის“ ფანების ერთი ნაწილის დამოკიდებულება მოქმედებს? მაგრამ ეს ხალხი მის ერთგულებაში ხომ მისმავე საქციელმა დააეჭვა და წესით, ახლა მათი გულების მონადირე გამალებული უნდა ცდილობდეს.

თუმცა, მეორე მხრივ, უეინ რუნი კვლავ ჩინებულ ფორმაშია და მისი და რონალდუს წყვილი მეორე ტაიმში „ვესტ ბრომვიჩის“ კარს მართლა დიდი ძალით უტევდა.

მართალი გითხრათ, სეზონი რომ იწყებოდა სერ ალექს ფერგიუსონის გუნდისგან ტიტულსკენ უპრობლემო სვლას ველოდი, მაგრამ დეკუმ, ბოსინგვამ და სკოლარიმ „ჩელსის“ ძალიან დიდი ძალა შემატეს. ახლა, თუ ვინმეს რამე უნდა, ჯერ „ლურჯებს“ უნდა აჯობოს.

**ბაპუნა ქედია**

# თან დიადი, მაგრამ თანაც იტალიელი




**სერ ბობი ჩარლტონმა** ფაბიო კაპელო სერ ალფ რამსეის შეადარა... ლეგენდარულ ალფ რამსეის, ინგლისის ნაკრების იმ მწვრთნელს, რომელმაც თავად ჩარლტონსა და მის თანაგუნდელებს 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა.

რით დაიმსახურა იტალიელმა კაცმა ასეთი „ინგლისური დაფასება"? იმით, რომ მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ციკლში სერ ბობის ქვეყნის ეროვნულ გუნდს ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოაპოვებინა. ეს ოთხი გამარჯვება კი ალბიონზე განსაკუთრებით იმიტომ ეგემრიელათ, რომ წინაისტორია ჰქონდათ ცუდი: ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევში ჩაფლავდნენ, ჯგუფიდან საერთოდ ვერ გავიდნენ.

1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი აცხადებს, რომ კაპელოს ყველა მონაცემი აქვს რათა დიადი გახდეს.

„ალფის შემდეგ ის ინგლისის ნაკრების მწვრთნელთაგან პირველია, ვისაც ეტყობა, რომ ნამდვილი ბოსია. ბობი რობსონმა 1990 წელს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალშიც გაიყვანა და მშვენიერი ფეხბურთიც ათამაშა, მაგრამ მას სხვანაირი მიდგომა ჰქონდა, მკაცრი არ იყო. ალფი უხეში გახლდათ, მაგრამ დაქოქვაც დიდებულად ეხერხებოდა და ტაქტიკაშიც უბადლო იყო. ის ყველაფერს დაწვრილებით გეგმავდა. ჰოდა, მსგავსი თვისებებით დაჯილდოვებული ამ კაცის მოსვლამდე სხვა არავინ მენახა.

უამრავმა ადამიანმა იცის, რომ ბოლო ჯერზე, როდესაც ინგლისის ნაკრებისთვის ახალ მწვრთნელს ვეძებდით და კანდიდატურებს განვიხილავდით, მე პირდაპირ განვაცხადე, რომ ყველაზე მისაღები ფაბიო კაპელოს ვარიანტი იყო. ის ძლიერი პიროვნებაა, ყველაფერზე საკუთარი აზრი აქვს და მეგობრების შეძენა კი არ უნდა, გამარჯვებები სჭირდება".

მაგრამ, დიდი მსგავსების მიუხედავად, სერ ბობის აზრით ალფ რამსეი ინგლისის ნაკრების სათავეში უცხოელ მწვრთნელს ვერ შეეგუებოდა.

„რაღ უნდა ლაპარაკი, ალფი შეურაცხყოფილი იქნებოდა, მაგრამ მე, დღევანდელ ინგლისელთაგან ნაკრების სათავეში ვერც ერთს ვერ ვხედავ. უცხოელი მწვრთნელი, რასაკვირველია, საუკეთესო ვარიანტად არავის მიაჩნია, მაგრამ წაგებებს ეს სჯობს. გარდა ამისა, დღეს კაპელოს განკარგულებაში დაგროვდნენ ფეხბურთელები, რომელთაც თავიანთი ქვეყნის ნაკრებში თამაში მართლა უნდათ. წლების განმავლობაში ნაკრები სასურველი და სახალისო ადგილი არ იყო. რასაკვირველია, რამდენჯერმე კარგი ფეხბურთიც ვითამაშეთ, მაგრამ ახლა გამარჯვების ჩვევა აღვიდგინეთ და ეს თავიდან ბოლომდე მწვრთნელის დამსახურებაა".

**ბაჩუნა ძიძია**

# მესის კონტრაქტის დეტალები




**ესპანური** „ბარსელონას" ერთ-ერთი ლიდერი ლიონელ მესი კლუბში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდა. არგენტინელმა ჯერ კიდევ ივლისში გაახანგრძლივა კონტრაქტი კატალონიურ გრანდთან, თუმცა ხელშეკრულების დეტალები არ გახმაურებულა.

რამდენიმე დღის წინ კი, კატალონიურმა რადიომ დეტალები გაახმაურა, რაც შემდგომში „ბარსას" მფლობელებმაც დაადასტურეს. 21 წლის მესიმ კონტრაქტი 2014 წლამდე გააახანგრძლივა და წელიწადში 10-14 მილიონ ევროს მიიღებს. ამ კონტრაქტის გამოსყიდვა მხოლოდ 150 მილიონი ევროს გადახდის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

**გაგა დოღუანიძე**

## ჩილე

### აპერტურა. XVI ტური

კათოლიკა — რეინჯერსი 2:0; ესპანოლა — უაჩიპატო 3:2; კონსეპსიონი — დეპორტივო 1:1; მელიპილია — პალესტინო 0:2; ლა სერენა — ჰიგინსი 1:3; კობრელოა — კოლო კოლო 4:3; კობრესალი — ანტოფაგასტა 0:0; ოსორნო — მორნინგი 0:1; აუდაქსი — უნივ. დე ჩილე 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივ. დე ჩილე | 15 | 10 | 2 | 3 | 32:16 | 32 |
| პალესტინო | 16 | 9 | 3 | 4 | 28:19 | 30 |
| რეინჯერსი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:20 | 27 |
| კოლო კოლო | 15 | 8 | 2 | 5 | 26:18 | 26 |
| უაჩიპატო | 15 | 7 | 3 | 5 | 30:20 | 24 |
| ლა სერენა | 15 | 6 | 6 | 3 | 32:28 | 24 |
| კათოლიკა | 15 | 7 | 2 | 6 | 30:28 | 23 |
| ჰიგინსი | 15 | 6 | 4 | 5 | 28:25 | 22 |
| ევერტონი | 15 | 7 | 1 | 7 | 24:22 | 22 |
| კობრელოა | 15 | 6 | 3 | 6 | 27:27 | 21 |
| კობრესალი | 16 | 5 | 5 | 6 | 22:22 | 20 |
| აუდაქსი | 15 | 5 | 5 | 5 | 18:19 | 20 |
| მორნინგი | 15 | 5 | 5 | 5 | 19:24 | 20 |
| ანტოფაგასტა | 16 | 6 | 2 | 8 | 16:24 | 20 |
| ესპანოლა | 15 | 5 | 4 | 6 | 21:25 | 19 |
| დეპორტივო | 15 | 3 | 7 | 5 | 20:25 | 16 |
| კონსეპსიონი | 15 | 3 | 6 | 6 | 26:28 | 15 |
| ოსორნო | 15 | 3 | 1 | 11 | 17:33 | 10 |
| მელიპილია | 15 | 2 | 2 | 11 | 15:29 | 8 |

## მექსიკა

### კლაუსურა. XII ტური

ტეკოსი — სან ლუისი 5:2; კრუს ასული — მორელია 0:2; მონტერეი — ტიგრესი 1:4; ჩივასი — ატლანტე 1:0; ინდიოსი — ამერიკა 0:0; ნეკაქსა — ატლასი 0:1; ტოლუკა — პაჩუკა 3:0; პუებლა — პუმასი 0:0; სანტოსი — ხაგუარესი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლანტე | 13 | 7 | 4 | 2 | 18:9 | 25 |
| სან ლუისი | 13 | 7 | 3 | 3 | 19:16 | 24 |
| ტიგრესი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:9 | 21 |
| ტეკოსი | 12 | 6 | 3 | 3 | 23:17 | 21 |
| მორელია | 13 | 5 | 5 | 3 | 19:13 | 20 |
| კრუს ასული | 12 | 5 | 4 | 3 | 19:16 | 19 |
| სანტოსი | 13 | 5 | 4 | 4 | 18:15 | 19 |
| პუმასი | 12 | 5 | 3 | 4 | 14:10 | 18 |
| ჩივასი | 13 | 4 | 6 | 3 | 17:19 | 18 |
| ტოლუკა | 13 | 4 | 5 | 4 | 19:16 | 17 |
| პაჩუკა | 12 | 4 | 3 | 5 | 18:18 | 15 |
| ამერიკა | 13 | 3 | 6 | 4 | 17:18 | 15 |
| ატლასი | 13 | 4 | 3 | 6 | 18:20 | 15 |
| ხაგუარესი | 12 | 4 | 2 | 6 | 15:21 | 14 |
| მონტერეი | 13 | 3 | 4 | 6 | 15:22 | 13 |
| პუებლა | 13 | 1 | 8 | 4 | 8:14 | 11 |
| ინდიოსი | 13 | 3 | 2 | 8 | 12:23 | 11 |
| ნეკაქსა | 13 | 1 | 6 | 6 | 12:22 | 9 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXV ტური

ლუჩ-ენერგია — ტომი 0:0; შინიკი — რუბინი 0:2; ნალჩიკი — ზენიტი 2:2; სატურნი — სპარტაკი 0:0; ტერეკი — დინამო 0:0; ცსკა — ამკარი 4:1; კრილია — მოსკვა 1:1; ლოკომოტივი — ხიმკი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუბინი | 25 | 16 | 6 | 3 | 37:16 | 54 |
| ცსკა | 25 | 13 | 8 | 4 | 42:20 | 47 |
| დინამო | 25 | 12 | 8 | 5 | 34:25 | 44 |
| ამკარი | 25 | 11 | 7 | 7 | 25:20 | 40 |
| ზენიტი | 24 | 10 | 8 | 6 | 50:31 | 38 |
| კრილია | 25 | 9 | 11 | 5 | 36:22 | 38 |
| სპარტაკი | 25 | 9 | 10 | 6 | 36:32 | 37 |
| ლოკომოტივი | 24 | 9 | 7 | 8 | 28:28 | 34 |
| მოსკვა | 25 | 8 | 9 | 8 | 27:28 | 33 |
| ნალჩიკი | 25 | 8 | 6 | 11 | 26:31 | 30 |
| ტერეკი | 25 | 8 | 6 | 11 | 20:33 | 30 |
| სატურნი | 24 | 6 | 8 | 10 | 21:25 | 26 |
| ტომი | 25 | 7 | 5 | 13 | 20:33 | 26 |
| ხიმკი | 25 | 4 | 8 | 13 | 27:47 | 20 |
| ლუჩ-ენერგია | 25 | 3 | 11 | 11 | 21:42 | 20 |
| შინიკი | 24 | 3 | 6 | 15 | 22:39 | 15 |

## სლოვენია

### I ლიგა. XIII ტური

პრიმორიე — დრავა 0:0; ნოვა გორიცა — დრავა 1:0; ცელიე — ნაფტა 2:1; კოპერი — პრიმორიე 1:1; ლიუბლიანა — რუდარი 2:1; მარიბორი — დომჟალე 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 13 | 8 | 4 | 1 | 32:18 | 28 |
| ნაფტა | 13 | 7 | 2 | 4 | 15:13 | 23 |
| ცელიე | 13 | 5 | 5 | 3 | 17:13 | 20 |
| დომჟალე | 13 | 5 | 4 | 4 | 18:16 | 19 |
| ლიუბლიანა | 13 | 5 | 3 | 5 | 19:18 | 18 |
| დრავა | 14 | 5 | 3 | 6 | 14:17 | 18 |
| ნოვა გორიცა | 13 | 5 | 1 | 7 | 17:23 | 16 |
| რუდარი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:17 | 15 |
| პრიმორიე | 14 | 2 | 7 | 5 | 17:20 | 13 |
| კოპერი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:23 | 10 |

## იტალია

### სერია A. VII ტური

ფიორენტინა — რეჯინა 3:0; ნაპოლი — იუვენტუსი 2:1; ჯენოა — სიენა 1:0; ბოლონია — ლაციო 3:1; ლეჩე — უდინეზე 2:2; კატანია — პალერმო 2:0; მილანი — სამპდორია 3:0; კიევო — ატალანტა 1:1; ტორინო — კალიარი 0:1; რომა — ინტერი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 7 | 5 | 1 | 1 | 13:5 | 16 |
| უდინეზე | 7 | 4 | 2 | 1 | 12:5 | 14 |
| კატანია | 7 | 4 | 2 | 1 | 8:4 | 14 |
| ნაპოლი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:7 | 14 |
| ლაციო | 7 | 4 | 1 | 2 | 15:10 | 13 |
| მილანი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:6 | 13 |
| ფიორენტინა | 7 | 4 | 1 | 2 | 9:6 | 13 |
| ატალანტა | 7 | 4 | 1 | 2 | 8:6 | 13 |
| ჯენოა | 7 | 4 | 0 | 3 | 10:7 | 12 |
| პალერმო | 7 | 4 | 0 | 3 | 10:10 | 12 |
| ლეჩე | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| იუვენტუსი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 9 |
| სიენა | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | 8 |
| რომა | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | 7 |
| ბოლონია | 7 | 2 | 0 | 5 | 6:10 | 6 |
| კიევო | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| ტორინო | 7 | 1 | 2 | 4 | 7:11 | 5 |
| სამპდორია | 7 | 0 | 4 | 3 | 4:11 | 4 |
| კალიარი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:10 | 4 |
| რეჯინა | 7 | 0 | 2 | 5 | 4:13 | 2 |

## პოლონეთი

### I ლიგა. IX ტური

ოდრა — იაგელონია 1:1; პოლონია — კრაკოვია 1:1; ბიტომი — ბელხატუვი 1:2; სლასკი — არკა 2:1; ლოძი — ლეგია 0:0; ვისლა — პიასტი 2:0; გდანსკი — გურნიკი 1:0; რუხი — ლეხი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 9 | 6 | 2 | 1 | 16:7 | 20 |
| პოლონია | 9 | 5 | 3 | 1 | 17:6 | 18 |
| ლეგია | 9 | 5 | 3 | 1 | 15:5 | 18 |
| ლეხი | 9 | 5 | 1 | 3 | 17:8 | 16 |
| სლასკი | 9 | 4 | 4 | 1 | 15:11 | 16 |
| ბელხატუვი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:9 | 16 |
| გდანსკი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 |
| რუხი | 9 | 4 | 2 | 3 | 8:9 | 14 |
| არკა | 9 | 4 | 1 | 4 | 11:12 | 13 |
| ოდრა | 9 | 3 | 2 | 4 | 11:13 | 11 |
| ბიტომი | 9 | 3 | 1 | 5 | 11:15 | 10 |
| ლოძი | 9 | 2 | 2 | 5 | 5:13 | 8 |
| პიასტი | 9 | 2 | 1 | 6 | 6:12 | 7 |
| იაგელონია | 9 | 1 | 4 | 4 | 6:12 | 7 |
| კრაკოვია | 9 | 1 | 3 | 5 | 5:13 | 6 |
| გურნიკი | 9 | 1 | 2 | 6 | 3:13 | 5 |

## საბერძნეთი

### სუპერლიგა. VI ტური

ირაკლისი — ერგოტელისი 0:0; პანსერაიკოსი — ტრიპოლისი 0:0; პანიონიოსი — არისი 2:1; ოფი — ფილისი 1:3; ლევადიაკოსი — ქსანთი 0:0; აეკ — ლარისა 1:1; ოლიმპიაკოსი — პანთრაკიკოსი 2:0; პაოკ — პანათინაიკოსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:2 | 16 |
| პაოკ | 6 | 3 | 3 | 0 | 5:1 | 12 |
| ლარისა | 6 | 3 | 2 | 1 | 11:6 | 11 |
| ქსანთი | 6 | 3 | 2 | 1 | 3:1 | 11 |
| პანათინაიკოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| ერგოტელისი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:2 | 9 |
| აეკ | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 9 |
| პანიონიოსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| ლევადიაკოსი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:5 | 8 |
| პანსერაიკოსი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:9 | 7 |
| ტრიპოლისი | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | 6 |
| არისი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:8 | 6 |
| პანთრაკიკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:8 | 4 |
| ირაკლისი | 6 | 0 | 3 | 3 | 2:5 | 3 |
| ოფი | 6 | 0 | 3 | 3 | 6:11 | 3 |
| ფილისი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:9 | 3 |

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XII ტური

სტრედა — ნიტრა 1:0; რუჟომბეროკი — კოშიცე 0:0; ზლატე მორავცე — ჟილინა 0:2; დუბნიცა — ტრნავა 0:1; ბანსკა ბისტრიცა — სლოვანი 2:3; ტატრანი — არტმედია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟილინა | 11 | 7 | 3 | 1 | 22:5 | 24 |
| სლოვანი | 12 | 7 | 3 | 2 | 22:10 | 24 |
| კოშიცე | 12 | 7 | 3 | 2 | 21:15 | 24 |
| ტრნავა | 12 | 6 | 4 | 2 | 17:9 | 22 |
| სტრედა | 12 | 5 | 3 | 4 | 16:13 | 18 |
| ტატრანი | 12 | 5 | 2 | 5 | 16:22 | 17 |
| რუჟომბეროკი | 12 | 3 | 5 | 4 | 13:14 | 14 |
| ნიტრა | 12 | 4 | 1 | 7 | 11:24 | 13 |
| არტმედია | 12 | 3 | 3 | 6 | 14:17 | 12 |
| დუბნიცა | 12 | 3 | 2 | 7 | 15:19 | 11 |
| ბანსკა ბისტრიცა | 11 | 2 | 3 | 6 | 7:12 | 9 |
| ზლატე მორავცე | 12 | 1 | 4 | 7 | 4:18 | 7 |

## არგენტინა

### კლაუსურა. XI ტური

ესტუდიანტესი — ხიმნასია ხ 2:0; კოლონი — ინდეპენდიენტე 1:2; სან ლორენსო — სან მარტინი 1:0; ტიგრე — ლანუსი 3:0; არსენალი —ველესი 3:3; ბანფილდი — რასინგი 1:0; რივერ პლეიტი — ბოკა ხუნიორსი 0:1; გოდოი — ნიუელსი 0:0; როსარიო — ხიმნასია ლპ 0:1; არგ. ხუნიორსი — ურაკანი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 10 | 8 | 1 | 1 | 17:4 | 25 |
| ტიგრე | 10 | 6 | 2 | 2 | 15:9 | 20 |
| ნიუელსი | 10 | 5 | 3 | 2 | 14:8 | 18 |
| ბოკა ხუნიორსი | 10 | 5 | 2 | 3 | 19:13 | 17 |
| ველესი | 10 | 4 | 4 | 2 | 15:14 | 16 |
| ლანუსი | 10 | 4 | 3 | 3 | 17:15 | 15 |
| ესტუდიანტესი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:14 | 14 |
| არსენალი | 10 | 4 | 2 | 4 | 17:19 | 14 |
| სან მარტინი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:8 | 13 |
| ბანფილდი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:13 | 13 |
| ხიმნასია ლპ | 10 | 3 | 4 | 3 | 10:11 | 13 |
| ინდეპენდიენტე | 10 | 3 | 4 | 3 | 9:10 | 13 |
| რასინგი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:11 | 12 |
| კოლონი | 10 | 2 | 5 | 3 | 14:15 | 11 |
| გოდოი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:15 | 11 |
| არგ8 ხუნიორსი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:15 | 10 |
| ხიმნასია ხ | 10 | 3 | 1 | 6 | 13:22 | 10 |
| ურაკანი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:14 | 9 |
| რივერ პლეიტი | 10 | 1 | 5 | 4 | 11:14 | 8 |
| როსარიო | 10 | 2 | 2 | 6 | 10:15 | 8 |

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XI ტური

დინამო — ზარია 5:0; შახტარი — კრივბასი 4:2; ილიჩევეცი — ჩერნომორეცი 1:0; ლვოვი — ხარკოვი 1:0; მეტალისტი — არსენალი 1:1; დნიპრო — მეტალურგი დ 1:1; ტავრია — კარპატი 1:4; ვორსკლა — მეტალურგი ზ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 9 | 1 | 1 | 28:5 | 28 |
| მეტალურგი დ | 11 | 8 | 2 | 1 | 17:5 | 26 |
| მეტალისტი | 11 | 5 | 4 | 2 | 16:9 | 19 |
| ვორსკლა | 11 | 5 | 4 | 2 | 13:9 | 19 |
| მეტალურგი ზ | 11 | 5 | 4 | 2 | 11:8 | 19 |
| დნიპრო | 11 | 4 | 4 | 3 | 9:8 | 16 |
| ზარია | 11 | 4 | 4 | 3 | 12:15 | 16 |
| შახტარი | 11 | 3 | 6 | 2 | 16:11 | 15 |
| ჩერნომორეცი | 11 | 4 | 1 | 6 | 12:14 | 13 |
| კრივბასი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:16 | 13 |
| კარპატი | 11 | 2 | 5 | 4 | 8:11 | 11 |
| არსენალი | 11 | 2 | 5 | 4 | 8:12 | 11 |
| ილიჩევეცი | 11 | 3 | 0 | 8 | 7:18 | 9 |
| ლვოვი | 11 | 2 | 2 | 7 | 4:12 | 8 |
| ტავრია | 11 | 1 | 4 | 6 | 10:20 | 7 |
| ხარკოვი | 11 | 0 | 6 | 5 | 7:17 | 6 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XXV ტური

ჰონკა — ტამპერე 3:4; როვანიემი — ვაასა 0:1; ჰაკა — ჰიკ 2:3; მიუპა — ინტერი 0:0; ლაჰტი — მარიეჰამნი 2:1; ტურკუ — კტპ 4:1; იარო — კუოპიო 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 25 | 14 | 9 | 2 | 44:12 | 51 |
| ჰონკა | 25 | 15 | 5 | 5 | 44:20 | 50 |
| ჰიკ | 25 | 14 | 5 | 6 | 47:28 | 47 |
| ლაჰტი | 25 | 14 | 3 | 8 | 43:24 | 45 |
| მიუპა | 25 | 10 | 9 | 6 | 31:21 | 39 |
| ტურკუ | 25 | 11 | 6 | 8 | 42:34 | 39 |
| ტამპერე | 25 | 9 | 9 | 7 | 41:32 | 36 |
| იარო | 25 | 10 | 5 | 10 | 36:45 | 35 |
| ჰაკა | 25 | 9 | 5 | 11 | 29:37 | 32 |
| ვაასა | 25 | 6 | 11 | 8 | 16:26 | 29 |
| როვანიემი | 25 | 7 | 6 | 12 | 30:37 | 27 |
| მარიეჰამნი | 25 | 6 | 5 | 14 | 21:38 | 23 |
| კუოპიო | 25 | 4 | 7 | 14 | 26:55 | 19 |
| კტპ | 25 | 1 | 5 | 19 | 14:55 | 8 |

## ხორვატია

### NHL. XI ტური

ზაგრები — ზადარი 0:0; ოსიეკი — ინტერი 2:1; ვარტეკსი — რიეკა 3:3; სლავენი — სესვეტე 4:0; ჰაიდუკი — ციბალია 2:0; შიბენიკი — დინამო 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 7 | 2 | 2 | 22:12 | 23 |
| სლავენი | 11 | 6 | 2 | 3 | 18:13 | 20 |
| ჰაიდუკი | 11 | 6 | 2 | 3 | 16:13 | 20 |
| შიბენიკი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:12 | 17 |
| ზაგრები | 11 | 4 | 5 | 2 | 13:10 | 17 |
| რიეკა | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 15 |
| სესვეტე | 11 | 4 | 3 | 4 | 13:13 | 15 |
| ვარტეკსი | 11 | 4 | 2 | 5 | 16:18 | 14 |
| ციბალია | 11 | 4 | 2 | 5 | 11:19 | 14 |
| ოსიეკი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:17 | 12 |
| ინტერი | 11 | 2 | 4 | 5 | 19:22 | 10 |
| ზადარი | 11 | 1 | 2 | 8 | 8:18 | 5 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 104 | შეფილდი-საუთჰემპტონი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 22:45 | 105 | სუონსი-ქპრ | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 22:45 | 106 | ბარნსლი-უენსდი | 2.50 | 3.30 | 2.60 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 22:45 | 107 | უოტფორდი-კარდიფი | 2.35 | 3.30 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.50 |
| 22:45 | 108 | ბირმინგემი-კრისტალ პალასი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 22:45 | 109 | ბლეკპული-დერბი | 2.50 | 3.30 | 2.60 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 22:45 | 110 | ჩარლტონი-ბრისტოლი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:45 | 111 | ქოვენთრი-ბარნლი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 22:45 | 112 | ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| 22:45 | 113 | ნოტინგემი-იფსვიჩი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 22:45 | 114 | პლიმუთი-პრესტონი | 2.25 | 3.20 | 3.10 | 1.32 | 1.30 | 1.57 |
| 22:45 | 115 | რედინგი-დონკასტერი | 1.44 | 3.80 | 7.50 | 1.04 | 1.20 | 2.52 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 128 | სუინდონი-ნორთჰემპტონი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 22:45 | 129 | ტრანმერი-ჩელტენემი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 22:45 | 130 | როვერსი-ოლდემი | 2.55 | 3.30 | 2.55 | 1.43 | 1.27 | 1.43 |
| 22:45 | 131 | იოვილი-ქრიუ | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 22:45 | 132 | კოლჩესტერი-მილუოლი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 22:45 | 133 | ჰარტლპული-ჰადერსფილდი | 2.25 | 3.30 | 2.85 | 1.33 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 134 | ჰერეფორდი-კარლაილი | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 22:45 | 135 | ლიდსი-ლეიტონი | 1.45 | 3.70 | 7.50 | 1.04 | 1.21 | 2.47 |
| 22:45 | 136 | ლესტერი-უოლსოლი | 1.65 | 3.50 | 5.20 | 1.12 | 1.25 | 2.09 |
| 22:45 | 137 | დონსი-სტოკპორტი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:45 | 138 | პიტერბრო-ბრაიტონი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 22:30 | 139 | სქანთორპი-საუთენდი | 1.85 | 3.40 | 4.00 | 1.19 | 1.26 | 1.83 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 153 | მაკლსფილდი-ლინკოლნი | 2.35 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.29 | 1.52 |
| 22:45 | 154 | პორტ ვეილი-ექსეტერი | 2.40 | 3.20 | 2.85 | 1.37 | 1.30 | 1.50 |
| 22:45 | 155 | როჩდეილი-ჩესტერი | 1.85 | 3.40 | 4.00 | 1.19 | 1.26 | 1.83 |
| 22:45 | 156 | აკრინგტონი-შრიუსბერი | 3.35 | 3.30 | 2.10 | 1.66 | 1.29 | 1.28 |
| 22:45 | 157 | ბარნეტი-უიკომბი | 2.95 | 3.20 | 2.25 | 1.53 | 1.27 | 1.32 |
| 22:45 | 158 | ბორნმუთი-დაგენემი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 22:45 | 159 | ბრენტფორდი-მორქეიმბი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 22:45 | 160 | ბერი-როთერჰემი | 2.25 | 3.30 | 3.10 | 1.33 | 1.30 | 1.59 |
| 22:45 | 161 | ჯილინგემი-ნოტსი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 22:45 | 162 | გრიმსბი-ლუტონი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 163 | ჩესტერფილდი-ალდერშოტი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი სამ** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 180 | ბოგნორი-ბრომლი | 2.85 | 3.40 | 2.20 | 1.55 | 1.24 | 1.33 |
| 22:45 | 181 | ბრეინთრი-თაროკი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 22:45 | 182 | ისტლი-დორჩესტერი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:45 | 183 | ჰემპტონი-მეიდენჰედი | 2.20 | 3.40 | 2.80 | 1.33 | 1.23 | 1.53 |
| 22:45 | 184 | უიმბლდონი-ჰავანტი | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი ჩრდ** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 186 | ალფრეტონი-გეინსბორო | 2.05 | 3.40 | 3.25 | 1.27 | 1.25 | 1.66 |
| 22:45 | 187 | ფლიტვუდი-ბარსკო | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 22:45 | 189 | კინგ ლინი-ტემუორთი | 2.70 | 3.50 | 2.25 | 1.52 | 1.22 | 1.36 |
| 22:45 | 190 | საუთპორტი-ვოქსჰოლი | 1.32 | 4.50 | 7.00 | 1.02 | 1.11 | 2.73 |
| 22:45 | 191 | სტეფორდი-ჰაკნოლი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| 22:45 | 192 | ტელფორდი-სოლიჰალი | 1.50 | 4.20 | 5.20 | 1.10 | 1.16 | 2.32 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 42 | აინტრახტი-კარლსრუე | 2.10 | 3.30 | 3.50 | 1.28 | 1.31 | 1.69 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:30 | 227 | ლევერკუზენი-კიოლნი | 1.65 | 3.60 | 5.30 | 1.13 | 1.25 | 2.14 |
| | | **25 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 224 | შალკე-არმინია | 1.35 | 4.70 | 8.00 | 1.04 | 1.15 | 2.96 |
| 17:30 | 228 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.30 | 3.20 | 2.15 | 1.62 | 1.30 | 1.28 |
| 19:00 | 229 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.85 | 3.20 | 4.35 | 1.17 | 1.29 | 1.84 |
| 17:30 | 230 | ენერგია-აინტრახტი | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| 17:30 | 231 | მიონხენგლადბახი-კარლსრუე | 2.20 | 3.20 | 3.15 | 1.30 | 1.29 | 1.58 |
| 17:30 | 233 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.60 | 3.60 | 5.50 | 1.10 | 1.23 | 2.17 |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 225 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.45 | 4.10 | 7.00 | 1.07 | 1.20 | 2.58 |
| 19:00 | 232 | ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **25 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 341 | იუვენტუსი-ტორინო | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 20:00 | 342 | სიენა-კატანია | 2.25 | 2.90 | 3.40 | 1.26 | 1.35 | 1.56 |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 331 | სამპდორია-ბოლონია | 1.75 | 3.20 | 5.00 | 1.13 | 1.29 | 1.95 |
| 17:00 | 332 | კალიარი-კიევო | 2.15 | 2.95 | 3.55 | 1.24 | 1.33 | 1.61 |
| 17:00 | 333 | რეჯინა-ლეჩე | 2.30 | 2.95 | 3.25 | 1.29 | 1.34 | 1.54 |
| 17:00 | 334 | ატალანტა-მილანი | 4.50 | 3.20 | 1.85 | 1.87 | 1.31 | 1.17 |
| 17:00 | 335 | პალერმო-ფიორენტინა | 2.40 | 2.90 | 3.15 | 1.31 | 1.36 | 1.50 |
| 17:00 | 337 | ლაციო-ნაპოლი | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 17:00 | 339 | უდინეზე-რომა | 2.40 | 3.00 | 3.00 | 1.33 | 1.33 | 1.50 |
| 17:00 | 343 | ინტერი-ჯენოა | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 376 | მალიორკა-ესპანიოლი | 2.20 | 3.20 | 3.25 | 1.30 | 1.31 | 1.61 |
| 19:00 | 377 | უელვა-ვალენსია | 3.90 | 3.20 | 1.90 | 1.75 | 1.27 | 1.19 |
| 19:00 | 379 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| 19:00 | 381 | რეალი-ბილბაო | 1.30 | 4.75 | 8.50 | 1.02 | 1.12 | 3.04 |
| 19:00 | 382 | ნუმანსია-რასინგი | 2.45 | 3.20 | 2.75 | 1.38 | 1.29 | 1.47 |
| 19:00 | 383 | ბარსელონა-ალმერია | 1.30 | 4.60 | 10.00 | 1.01 | 1.15 | 3.15 |
| 19:00 | 385 | დეპორტივო-ხიხონი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 19:00 | 386 | სევილია-მალაგა | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| 19:00 | 388 | ოსასუნა-ბეტისი | 2.20 | 3.10 | 3.25 | 1.28 | 1.31 | 1.58 |
| 19:00 | 389 | ხეტაფე-ვალიადოლიდი | 1.85 | 3.20 | 3.95 | 1.17 | 1.25 | 1.76 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:45 | 648 | ელფსბორგი-ტრელებორგი | 1.50 | 4.00 | 6.30 | 1.09 | 1.21 | 2.44 |
| | | **უეფა. ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 50 | ზენიტი-ბატე | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 20:30 | 51 | ზენიტი-ბატე 0:1 | 1.65 | 4.00 | 4.00 | | | |
| 22:45 | 52 | ვილიარეალი-ოლბორგი | 1.20 | 5.30 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.67 |
| 22:45 | 53 | ვილიარეალი-ოლბორგი 0:1 | 1.45 | 4.50 | 4.60 | | | |
| 22:45 | 54 | მანჩესტერი-სელტიკი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 22:45 | 55 | მანჩესტერი-სელტიკი 0:1 | 1.65 | 4.00 | 3.80 | | | |
| 22:45 | 56 | ბაიერნი-ფიორენტინა | 1.80 | 3.30 | 4.50 | 1.16 | 1.28 | 1.90 |
| 22:45 | 57 | სტიაუა-ლიონი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 22:45 | 58 | ფენერბაჩე-არსენალი | 3.50 | 3.30 | 2.00 | 1.69 | 1.27 | 1.24 |
| 22:45 | 59 | პორტუ-დინამო კ | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:45 | 60 | პორტუ-დინამო კ 0:1 | 2.60 | 3.40 | 2.25 | | | |
| 22:45 | 61 | იუვენტუსი-რეალი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 62 | ინტერი-ანორთოსისი | 1.20 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 4.00 |
| 22:45 | 63 | ინტერი-ანორთოსისი 0:1 | 1.50 | 4.20 | 4.85 | | | |
| 22:45 | 64 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 2.60 | 3.20 | 2.55 | 1.43 | 1.28 | 1.41 |
| 22:45 | 65 | შახტარი-სპორტინგი | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| 22:45 | 66 | ბაზელი-ბარსელონა | 6.00 | 3.60 | 1.52 | 2.25 | 1.21 | 1.06 |
| 22:45 | 67 | ბაზელი-ბარსელონა 1:0 | 2.55 | 3.40 | 2.30 | | | |
| 22:45 | 68 | ატლეტიკო-ლივერპული | 2.60 | 3.10 | 2.65 | 1.41 | 1.31 | 1.42 |
| 22:45 | 69 | პსვ-მარსელი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| 22:45 | 70 | ბორდო-კლუჟი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 22:45 | 71 | ჩელსი-რომა | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.24 |
| 22:45 | 72 | ჩელსი-რომა 0:1 | 2.10 | 3.60 | 2.80 | | | |
| | | **უეფა. უეფას თასი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:15 | 73 | ასტონ ვილა-აიაქსი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 20:15 | 74 | შალკე-პსჟ | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 20:30 | 76 | ჟილინა-ჰამბურგი | 4.10 | 3.40 | 1.75 | 1.85 | 1.22 | 1.15 |
| 22:00 | 77 | ტვენტე-რასინგი | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| 22:45 | 78 | კოპენჰაგენი-სტ.ეტიენი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:15 | 79 | გალათასარაი-ოლიმპიაკოსი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 22:45 | 80 | როსენბორგი-ბრიუგე | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 22:30 | 81 | ჰერტა-ბენფიკა | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 82 | ნანსი-ფეიენოორდი | 2.00 | 3.20 | 3.45 | 1.23 | 1.26 | 1.66 |
| 23:00 | 83 | პარტიზანი-სამპდორია | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 20:00 | 84 | ცსკა-დეპორტივო | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 85 | სევილია-შტუტგარტი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 22:45 | 87 | ზაგრები-ნაიმეგენი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 21:10 | 88 | უდინეზე-ტოტენჰემი | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| 23:55 | 89 | ბრაგა-პორტსმუთი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 22:45 | 90 | ჰერენვენი-მილანი | 3.90 | 3.40 | 1.80 | 1.81 | 1.23 | 1.17 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ქვემოწმინდა QUARTZITE



გურამ მურადაშვილის ფოტო

# სტუდენტების აკადემიური ინტრიგა

**საქართველოს ჩემპიონატი**
**უმაღლესი ლიგა. XIII ტური**

**არმაზი 15:42 ლელო**
**დინამო 16:20 აკადემია**
**უნივერსიტეტი 12:39 ლოკომოტივი**
**აია 10:12 ვისოლი-ყოჩები**

**გუშინ** საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ბოლოსწინა ტური ჩათამაშდა, თუმც მთავარი კითხვა: ვინ იქნება საპლეიოფო ოთხეულის ბოლო გუნდი, კვლავ პასუხგაუცემელია.

ის, რომ ეგრეთ წოდებულ „ავსტრალიურ პლეი ოფში" შინაური რაგბის ბობოლები — „ლოკომოტივი", ლელო" და „ვისოლი-ყოჩები" ითამაშებდნენ, კარგა ხნის წინ იყო გარკვეული. გათამაშების ბოლო ტურის მთავარი ინტრიგა კი პლეი ოფის მეოთხე გუნდის გარკვევა იქნება.

ძნელია ვარაუდით თქვა, რომელი იქნება ეს იღბლიანი და ჩვენც ფაქტებით ვილაპარაკოთ.

სატურნირო ვითარებით ყველაზე კარგი შანსი „უნივერსიტეტს" აქვს. სტუდენტებს გუშინდელი მარცხის მიუხედავად შეეძლოთ პლეი, ოფში გამსვლელი მეოთხე ადგილი პრაქტიკულად გაენაღდებინათ, რაკი ქუთაისის „აიამ" შინ წააგო „ვისოლი-ყოჩებთან", თუმც აკადემიამ" ბოლო წუთზე დაალელოვა „დინამო" და რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურს მაგარი ინტრიგა დაუტოვა.

ბოლო ტურში, 25 ოქტომბერს, ერთმანეთს სწორედ „უნივერსიტეტი" და „აკადემია" დაეჯახებიან და სწორედ მათ შორის გამარჯვებული გავა პლეი ოფში. ფრის შემთხვევაში კი „უნივერსიტეტს" დარჩება მეოთხე ადგილი, თუმც ეს იმ შემთხვევაში თუ კიდევ ერთი კონკურენტი „აია" თბილისში „ლელოს" ვერ დაამარცხებს. ისე „აია" რომ „ლელოს" მომგები არ არის, ეს უფრო რეალურია. თან ბურთების უკეთესი სხვაობით და ურთიერთშეხვედრებით „უნივერსიტეტი" „აიას" ჯობნის.

ბოლო ტურს კიდევ ერთი ინტრიგა ახლავს. „არმაზი" და „დინამო" ხვდებიან ერთმანეთს და აქ წაგებული პირველ ლიგაში გავარდება, ხოლო მოგებული დასარჩენ ორმატჩა პლეი ოფს ეთამაშება პირველი ლიგის მეორეადგილოსან „ბათუმს".

**ბაჩო სვანიძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 10 | 0 | 3 | 448:170 | 20 |
| ლელო | 10 | 0 | 3 | 292:217 | 20 |
| ყოჩები | 9 | 0 | 4 | 274:201 | 18 |
| უნივერსიტეტი | 6 | 1 | 6 | 233:259 | 13 |
| აია | 6 | 1 | 6 | 235:223 | 13 |
| აკადემია | 6 | 0 | 7 | 225:295 | 12 |
| არმაზი | 2 | 0 | 11 | 223:345 | 4 |
| დინამო | 2 | 0 | 11 | 199:419 | 4 |

# რუსთავის ელიტური

**პირველი ლიგა. XIV ტური**

**TBC — თსუ 3:63 ბათუმი**
**დევ...ი 15:45 ხულიგანა**
**რუსთავი 26:10 ლოკომოტივი 2**
**აია 2 — ლელო 2** გადაიდო

**საქართველოს** ჩემპიონატის პირველ ლიგაში ერთი მატჩიღა დარჩა ჩასატარებელი, მაგრამ გასარკვევი უკვე გაირკვა: ქუთაისის „აიას" და თბილისის „ლელოს" დუბლების მატჩი ვერაფერს შეცვლის. მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში „რუსთავი" დაწინაურდა, პირველი ლიგა მოიგო და ქართული რაგბის საელიტო საგზური მოიპოვა. მეორე ადგილზე გასული „ბათუმი" უმაღლესი ლიგის ბოლოსწინა პოზიციაზე მყოფთან პლეი ოფში (შინ და გარეთ პრინციპით) გადაწყვეტს, ითამაშებს თუ არა უმაღლეს ლიგაში.

ბათუმელთა მეტოქე ალბათ უფრო თბილისის „არმაზი" იქნება, რომელიც არ გვგონია, თბილისის „დინამოზე" დაბლა დაეშვას, რადგან დინამოელებს მეორე წრეში ლამის მთელი შემადგენლობა მიმოეფანტათ და უიმედო აუტსაიდერები არიან.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 13 | 0 | 1 | 471:162 | 26 |
| ბათუმი | 12 | 0 | 1 | 935:132 | 24 |
| ხულიგანა | 9 | 0 | 4 | 308:228 | 18 |
| ლელო 2 | 5 | 1 | 7 | 347:323 | 11 |
| აია 2 | 5 | 0 | 7 | 164:250 | 10 |
| ლოკომოტივი 2 | 3 | 1 | 8 | 137:319 | 7 |
| დევები | 2 | 0 | 12 | 215:421 | 4 |
| TBC — თსუ | 2 | 0 | 11 | 176:418 | 4 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლადო ჩიხლაძე საფრანგეთში რუსს და მასონს ეთამაშება

**იღბლიანი** გამოდგა ლადო ჩიხლაძის კორტზე დაბრუნება. მას შემდეგ, რაც ერთი თვის წინ, საქართველოს ნაკრებმა დევისის თასის ევრო-აფრიკული ზონის მატჩი სტუმრად ბელარუსთან წააგო და ერთი დივიზიონით დაქვეითდა, ლადო ჩიხლაძე კორტზე აღარ გასულა. ამის მიზეზი კი მინსკში გამიზეზებული ზურგის ტრავმა იყო.



გურამ მურადაშვილის ფოტო

თავში ვთქვით, რომ ლადო ჩიხლაძის კორტზე დაბრუნება იღბლიანი გამოდგა. ჩიხლაძემ ფრანგულ ლა როშელში 15-ათასიან ტურნირზე ითამაშა და მაროკოელ ჩაკისთან ერთად, წყვილთა ჩოგნაობა მოიგო.

როგორ მივიდა ნახევარფინალამდე ქართულ-მაროკოული წყვილი, ეს უკვე გვეწერა, ნახევარფინალში კი ჩიხლაძე — ჩაკის დუეტმა ტურნირის პირველი ნომრები და მასპინძლები შარონის და ტურტეს ტანდემი სამ სეტში 6:3 5:7 10:8 დაჩაგრეს და ფინალში მე-3 ნომრებს რუს ნესტეროვს და ესპანელ ალკაიდეს დაუპირისპირდნენ.

ფინალი ვერ გამოვიდა დაძაბული. ჩიხლაძემ და ჩაკმ კიდევ ერთი ფავორიტები ძალიან მალე, სულ რაღაც 40 წუთში 6:2 6:2 მიაჩოგნეს და ლა როშელის საპრიზო ფონდიდან 3 ათას ევრომდე მოხსნეს.

ჩიხლაძე და ჩაკის დუეტი ახლა ისევ საფრანგეთში, ოღონდ როდეზში დაწყებულ 10-ათასიან ტურნირზე ითამაშებენ. ჩიხლაძე და ჩაკი წყვილებში პირველ წრეს გამოტოვებენ და პირდაპირ მეოთხედფინალში ძველ ნაცნობს რუს ნისტეროვს და მის ახალ მეწყვილეს, ბელგიელ მასონს დაუპირისპირდებიან. სხვათა შორის, რუსის და ბელგიელის ტანდემი ტურნირზე პირველ ნომრად არიან განთესილები.

რაც შეეხება ერთეულთა შეხვედრებს, იქ ლადო ჩიხლაძე პირდაპირ ძირითად ბადეშია და პირველ წრეში მე-7 ნომერს, ბრიტანელ ჯეიმს უორდს ეთამაშება.

**ბაჩო სვანიძე**

# ჩახნაშვილს ბადემდე შკრაინელი აკლია



გურამ მურადაშვილის ფოტო

**წინა** კვირას საქართველოს მეორე ჩოგანი ქალი მაკა ჩახნაშვილი ფრანგულ სანტ-რაფაელში თამაშობდა 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში. ჩახნაშვილი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ეგრეთ წოდებული „იღბლიანი წაგებულის" ბარათით მოხვდა, მაგრამ ძირითად ბადეში პირველივე მატჩში დამარცხდა და წყვილებში გადაინაცვლა.

ქართველი ჩოგბურთელი ესპანელ სოლერ-ესპინოსას შეუწყვილდა და ნახევარფინალსაც უწიეს, ფინალში გასვლა ვერ მოახერხეს.

ახლა კი ჩახნაშვილი საფრანგეთშივე, ქალაქ პუატიეში იჭნევს ჩოგანს. მაკა, აქაც საკვალიფიკაციო ეტაპიდან შეეცდება ძირითად ბადეში მოხვედრას, იქამდე კი ერთი მოგებაღა აკლია.

საკვალიფიკაციო ეტაპზე მაკამ უკვე მოასწრო ორი მატჩის მოგება. ჩვენიანმა ჯერ ესპანელი იერა კამპოს-მოლონის მოუგო 8:2 6:2, მერე კი მასპინძელი ფრანგი სოფია ლეფევრი 7:5 6:1 დაჩოგნა. ძირითად ბადეში მოსახვედრად ჩახნაშვილს უკრაინელი ოქსანა ლუბცოვას დამარცხება სჭირდება.

საკვალიფიკაციო ეტაპზე მაკა ჩახნაშვილი მე-6 ნომრად არის განთესილი, ლუბცოვა კი — მე-4 ნომრად. პუატიეს ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათასი ევროა.



# ვეტერანთა ოქრო-ბრინჯაო

**წინა** უქმეებზე ბელარუსში ვეტერან სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა.

ტურნირში 27 ქვეყნის ოთხასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ქართული დელეგაცია ოთხი სპორტსმენისგან შედგებოდა და ოთხივემ საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ჩემპიონები გახდნენ: შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონი ოთარ ყურაშვილი (54-59წ. ასაკობრივი ჯგუფი, +100 წონითი კატეგორია);

ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი შერმადინ მიქელთაძე (45-49წ. +100 წონითი კატეგორია);

სამგზის მსოფლიო ჩემპიონი თეიმურაზ გიორგაძე (40-44წ. 62კგ. წონითი კატეგორია).

გიორგი შარიაშვილი კი მესამე ადგილის მფლობელი გახდა (35-39წ. 100კგ წონით კატეგორია).

ქართველმა სამბისტებმა ფინალში რუსი სპორტსმენები დაამარცხეს.



*თეიმურაზ გიორგაძე:* „ქართულმა დელეგაციამ მაქსიმუმი გააკეთა. თითოეულმა ჩვენგანმა სამსამი შეხვედრა ჩავატარეთ. ჩემპიონატს დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ და წარმატებასაც მივაღწიეთ. ფინალი დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. რუსი სპორტსმენები ჩვენთან ორთაბრძოლაში დამარცხდნენ."

# ირაკლი კეიდიას წარმატების რეცეპტი: თუ დარწმუნებული არ ხარ, მოედანზე არ გახვიდე



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვერ ვიტყვით რომ მთლად სენსაცია იყო, მაგრამ როდესაც ორი კვირის შექმნილი და შეკრებაგაუვლელი კლუბი, ქართული კალათბურთის ბოლო 4-5 წლის ერთ-ერთ ლიდერს, ტიტულოვან და სტაბილურ კლუბს მოუგებს, დაგეთანხმებით მოულოდნელობაზე მეტია. საქართველოს ჩემპიონატის სუპერლიგის პირველი ტურის ნტდ-თბილავიამშენზე ვამბობთ. ქართული — აზერბაიჯანულმა ნტდ-თბილისმა საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი და თასის მფლობელი ავიატორები 77:72 დაამარცხა და საამსეზონოდ სერიოზული განაცხადი გააკეთა. ჩვენც ნტდ-ს ერთ-ერთ გამოცდილ და ლიდერ კალათბურთელს ირაკლი კეიდიას ვესაუბრეთ, რომლისთვისაც არც ლეგიონერობაა უცხო და საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია. სტუ-ს შემადგენლობაში კი საქართველოს ჩემპიონიც იყო. კეიდიასთან ინტერვიუ კი მოგებული მატჩით დავიწყეთ...**

— რაც უნდა იყოს ახალშექმნილი გუნდია ნტდ და ალბათ არც თქვენ ელოდით რომ ჩემპიონატის ფავორიტს პირველივე ტურში დაამარცხებდით...

— არ ველოდითო, ვერ ვიტყვი, მაშინ საერთოდ აზრი არ აქვს მოედანზე გასვლას და თამაშს. ბიჭებმა ყველაფერი ჩადეს თამაშში და დამსახურებულად მოვიგეთ. ნელნელა ფორმაში შევალთ და დარწმუნებული ვარ წინ კიდევ უფრო დიდი გამარჯვება გველის.

— ნტდ აზერბაიჯანული გუნდია... რა სიტუაციაა გუნდში? როგორი ურთიერთობა გაქვთ მოთამაშეებს ერთმანეთთან?

— აზერბაიჯანულ-ქართული გუნდია. მეპატრონე და ოთხი მოთამაშეა აზერბაიჯანელი. კიდევ ერთი ლეგიონერი გვყავს, კამერუნელი პლასიდე როდუმტა. ძალიან მეგობრული გუნდი ვართ, შეკრული და ერთმანეთს კარგად გავუგეთ.

— ალბათ საპრიზო ადგილებზეც ფიქრობთ?

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ყველაფერი ჩვენს თამაშზეა დამოკიდებული. ჯერ ახალი შეკრებილები ვართ და შეთამაშებისთვის დრო გვჭირდება. ამაში ჩვენი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკიც გვეხმარება. მე და ბატონი ნუგზარი ერთად ვიყავით ბათუმის „ბასკოშიც". ჩვენი მთავარი მიზანი საქართველოს ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებაა და შემდეგ ევროპაში გასვლაზეც შეიძლება ფიქრი.

— რომელ ქართულ გუნდს შეადარებდი ნტდ-ს?

— ნტდ საკმაოდ ძლიერი გუნდია. ვფიქრობ, ჩემპიონს, რუსთავის „ენერჯი ინვესტსაც" კი გაუჭირდება ჩვენთან თამაში.

— მწვრთნელის ფაქტორიც ერთ-ერთი უმთავრესია...

— ნუგზარ კანდელაკი მოედანზე მკაცრია, მოედნის გარეთ კი საოცრად მეგობრული. ამას ბევრი ვერ ახერხებს. რაც შეეხება შენიშვნებს... საწყის ეტაპზე შენიშვნა ბევრია. დროთა განმავლობაში კი თამაში იხვეწება და შენიშვნებიც იკლებს. რა თქმა უნდა, ყველაფერს ვითვალისწინებთ.

— თამაშამდე რამდენი ხნით ადრე შეიკრიბა გუნდი?

— სულ ორი კვირაა, ვვარჯიშობთ. ეს ძალიან ცოტაა გუნდური თამაშისთვის.

— კმაყოფილი ხარ, გუნდი, რომ შეიცვალე?

— რასაკვირველია, თუმც გულიც მწყდება, ყოფილ გუნდში თსუ-ში ბევრი მეგობარი დავტოვე...

— ყველა მოთამაშის უპირველესი სურვილია, წარმატებულ გუნდში იყოს. თვლი, რომ ნტდ ძვლებზე პერსპექტიულია?

— ვნახოთ შედეგი და შესაბამისი დასკვნაც მერე გავაკეთოთ...

— ადრეულ ასაკიდან ჩაებით სპორტში?

— 14 წლის ვიყავი, მამაჩემის მეგობარმა ძალით რომ მიმიყვანა კალათბურთზე. მანამდე კარატეზე დავდიოდი, ძალიან ცოტა ხანს, სულ რამდენიმე თვე, მაგრამ შემდეგ მწვრთნელთან უსიამოვნების გამო წამოვედი. მამაჩემს ძალიან მოსწონდა, შვილი კალათბურთელი რომ ჰყავდა და ბოლომდე მგულშემატკივრობდა, მუდამ მხარში მედგა. ვარჯიშსა თუ თამაშზე ჩემს გვერდით იყო. სამწუხაროდ, მამა გარდაიცვალა...

— 14 წლის ასაკიდან თამაშობ კალათბურთს... როგორ დაიწყო შენი კარიერა?

— სოხუმის „კოლხაში" ვთამაშობდი, რომლის უფროსი და მწვრთნელიც ბატონი ვაჟა კვარაცხელია იყო. ამ გუნდთან საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს. 3-4 წელი იქ ვიყავი. შემდეგ სლოვენიაში ჩავედით მე, ნიკა ცქიტიშვილი და ვლადიმერ უგრეხელიძე. ვოვა ბოისა უკვე იქ იყო. სლოვენიაში ერთი წელი ვთამაშობდით, მაგრამ გუნდის უფროსს ვერ შევეწყვე და ერთ წელიწადში დავბრუნდი საქართველოში, „სტუ ჯეოსელთან", გავაფორმე კონტრაქტი და დავრჩი აქ.

— სტუ-დან ნტდ-მდე ბევრი კლუბი გამოიცვალე...

— სტუ-დან „მაკაბიში" გადავედი, „მაკაბიდან" „ბასკოში", შემდეგ „დინამოში", იქიდან „ავიამშენში", მერე თსუ-ში და ახლა ნტდ-ში ვარ. საქართველოში თითქმის ყველა მოთამაშე ასეა, რადგან ძალიან ხშირად იშლება ძველი და ჩნდება ახალი გუნდები. ეს არის ამ „მოგზაურობის" მიზეზიც...

— ზოგადად ადამიანის და, ალბათ, სპორტსმენის ცხოვრებაშიც არის მომენტი, როცა მას ჰყავს იდეალი და სურს, იმას მიბაძოს. გქონია ამგვარი პერიოდი?

— ყველა მოთამაშეს ჰყავს თავისი კერპი, მაგრამ არ არის აუცილებელი, მას მიბაძო, თუმცა ხანდახან ასეც ხდება.

— რომელ ქართველ და უცხოელ კალათბურთელს გამოარჩევდი?

— საქართველოში ბევრი კარგი კალათბურთელია და მიჭირს ვინმეს გამორჩევა. ისე კი გოჩა სოსელიასთან ვმეგობრობ, მართლაც ძლიერი მოთამაშე იყო... უცხოელებიდან კი, რა თქმა უნდა, მაიკლ ჯორდანს.

— მიღწეულით კმაყოფილი ხარ?

— კმაყოფილი არ ვარ, რადგან ვთვლი, რომ ბევრად მეტის მიღწევა შემეძლო. ალბათ მეტი დრო უნდა დამეთმო ვარჯიშისთვის. როდესაც ახალგაზრდა ხარ, თვალი გართობისკენ გაგირბის და უფრო მნიშვნელოვანი გავიწყდება.

— რას ფიქრობ ქართული კალათბურთის დონეზე?

— ევროპასთან შედარებით, საკმაოდ დაბალი დონეა. არ გამოიყოფა საჭირო ფინანსები, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს სიტუაცია გამოსწორდება.

— თამაშებზე ბევრი გოგო გქომაგობთ. სპორტსმენები ხომ განებივრებულნი ხართ გოგონების ყურადღებით...

— წარმატებული სპორტსმენი პოპულარული, ჯანმრთელი, მშვიდი ადამიანია. ეს იზიდავს ყველას და სურთ მასთან მეგობრობა და ზოგადად, ურთიერთობა.

**ანა მახარაშვილი**

# რუსთაველები უკრაინაში ვალის მოსახდელად წავიდნენ



რუსთაველებმა უკრაინელებს თბილისში ვერაფერი დააკლეს

**გუშინწინ** საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ენერჯი-ინვესტი" უკრაინაში გაფრინდა, სადაც დღეს, კიევიდან 400 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ სუმიში იქაურ „სუმიხიმპრომთან" ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ რუსთაველები ფიბა-ევროპის თასის პირველი წრის საპასუხო მატჩის სათამაშოდ გაფრინდნენ უკრაინაში. პირველი მატჩი ჩვენებმა უიმედოდ 81:110 წააგეს თბილისში და სტუმრადაც ალბათ უშანსოდ იქნებიან. სანამ რუსთაველები სუმიში გაემგზავრებოდნენ, იქამდე ჩვენი სუპერ ლიგის სადებიუტო მატჩში ახალბედა სსსუ 83:74 დაამარცხეს და ხასიათი ოდნავ გამოიკეთეს, თუმც ეს ალბათ მათ შინაურ ჩემპიონატში გამოადგებათ, თორემ ევროთასებზე 29 ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა ძალიან არარეალურად ჩანს.

რუსთაველებმა სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის კლუბთან, მხოლოდ „ძველი" ლეგიონერი ჟოლივეტ ტუჯანი ათამაშეს, რადგან ახალბედა ლეგიონერები, ამერიკელი პოლ მაკფერსონი და სერბები — ნიკოლა რადოჯიჩი და ბოიან ვუკადინოვიჩი საჩემპიონატო განაცხადში შეყვანილი არ ჰყავთ.

მაკფერსონმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე თქვა, „ენერჯი-ინვესტს" მხოლოდ ევროთასზე შევეშველები, მერე კი ჩემს გზას ვნახავო. ალბათ ასევე მოიქცევიან სერბი ლეგიონერები და დიდი შანსია, უკრაინიდან ჩვენები მათ გარეშე დაბრუნდნენ. რაც შეეხება რუსთაველთა საუკრაინო შემადგენლობას, თბილისური მატჩისგან განსხვავებით მხოლოდ ერთი ცვლილებაა: უკანახაზელი ლევან ცეკვავას ნაცვლად, საპასუხო მატჩის განაცხადში დავით არწივაძე იქნება.

**ენერჯი-ინვესტი**

უკანა ხაზი: კოტე ტულუში (კაპ), გიორგი გამყრელიძე, დავით არწივაძე, მიხეილ ძოძუა, პოლ მაკფერსონი, ნიკოლა რადოჯიჩი;
ფორვარდები: ზვიად ბაბიაშვილი, ჟოლივეტ ტუჯანი, ბესო ლეჟავა, რევაზ დიდია, ბოიან ვუკადინოვიჩი;
ცენტრი: დავით უგრეხელიძე

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია აცხადებს მიღებას მსაჯთა მომზადების კურსებზე. მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი 49ა. ტელეფონი: 91 33 54.

ქართველი ლეგიონერებისთვის გასული უქმეებიც საკმაოდ დატვირთული გამოდგა. მანუჩარ მარკოიშვილმა უკრაინის, ხოლო ტაირონ ელისმა და ვლადიმერ ბოისამ ესპანეთის ჩემპიონატებში ითამაშეს. ვიქტორ სანიკიძემ და გიორგი ცინცაძემ კი ბალტიის თასზე გამართეს მორიგი შეხვედრა. უნდა ითქვას, რომ ამათგან მხოლოდ ერთმა, მარკოიშვილმა და მისმა „კიევმა" მოახერხა მოგება

# ბალტიაში ქართველებს ესტონელები არ აყვნენ

### უკრაინა

**კიევი 90:62 ხიმიკი**

დედაქალაქური „კიევი", რომლის ღირსებასაც მეორე წელია, მანუჩარ მარკოიშვილი იცავს, ყოველთვის ფავორიტად ითვლება უკრაინის ჩემპიონატში. ეს გუნდი რეგულარული მატჩების უმეტესობას, როგორც წესი, საკმაოდ იოლად იგებს ხოლმე. ჯერჯერობით წლეულსაც არ ღალატობს ტრადიციას — უკვე მესამე ტურ მიილია და ქალაქელებს სამი მოგება აქვთ.

განსაკუთრებით ადვილად ამ ბოლო ტურის მატჩში გაიმარჯვეს. ამაში თავისი წვლილი ქართველმა კალათბურთელმაც შეიტანა. მართალია, მან 10 ქულაც ვერ დააგროვა, მაგრამ გუნდისთვის მაინც უამრავი სასარგებლო რამ გააკეთა.

**მანუჩარ მარკოიშვილი:** *17 წუთი, 8 ქულა, 3 პასი, 4 ჩაჭრა, 3 პერსონალური შენიშვნა, 4-დან 3 ორქულიანი, 2-დან 0 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო.*

### ესტონეთი

**როკი 76:80 ნევეჟისი**

ესტონური კალათბურთის, უდავოდ, გამორჩეულ კლუბს ვერც ამჯერად უშველეს ქართველმა კალათბურთელებმა. ისევ ბევრი იშრომეს ჩვენებმა, მაგრამ თანაგუნდელთაგან მხოლოდ ერთი აჰყვა და, შესაბამისად, ბალტიის თასზე ჩატარებულ მესამე შეხვედრაში მეორედ დამარცხდნენ. ამ მაჩვენებლით „როკერები" სატურნირო ცხრილის ფსკერზე არიან მეორე ესტონურ გუნდ „კალევკრამოსთან" ერთად, რომელსაც, საერთოდ, სამი წაგება აქვს.

გუნდის ლიდერად რომ გიორგი ცინცაძე ჩამოყალიბდა, ეს ახალი ამბავი არ არის. ცინცაძე ამ სეზონში გამართულ ყველა შეხვედრაში თანაგუნდელთაგან საუკეთესო იყო, ერთი ეგაა, რომ გაახალგაზრდავებული „როკი" ვერ აჩვენებს იმ თამაშებს, როგორსაც შარშან აჩვენებდა.

**გიორგი ცინცაძე:** *36 წუთი, 20 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 2 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა, 14-დან 5 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი, 8-დან 7 საჯარიმო.*

**ვიქტორ სანიკიძე:** *24 წუთი, 6 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 3 დაკარგვა, 3 პერსონალური შენიშვნა, 5-დან 2 ორქულიანი, 1-დან 0 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო.*

### ესპანეთი

**მენორკა 70:78 მურსია**

ესპანეთის ჩემპიონატში მეოთხე ტურში მეოთხედ დამარცხდა ვლადიმერ ბოისას ახალი გუნდი „მენორკა". ეს გუნდი სულ იბრძვის, მაგრამ ბოლო მომენტში წაგებული ტოვებს ხოლმე მოედანს. ასე მოხდა ამჯერადაც. ისინი ისევ მცირე სხვაობით დამარცხდნენ.

ოთხი თამაშიდან ოთხი წაგება ესპანეთის ჩემპიონატში სულ ორ გუნდს აქვს. ერთი, როგორც გითხარით, ბოისას „მენორკაა", მეორე კი ტაირონ ელისის „კახასოლი". მათ უკავიათ კიდეც „ლა ლიგაში" ბოლო ორი ადგილი.

არადა, ამ ტურში ვლადიმერ ბოისა საკუთარი გუნდის სასტარტო ხუთეულში იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გამოუვიდა.

**ვლადიმერ ბოისა:** *17 წუთი, 2 ქულა, 1 დაკარგვა, 1 პერსონალური შენიშვნა, 1-დან 1 ორქულიანი, 2-დან 0 სამქულიანი.*

**კახასოლი 71:77 ბრუსა**

ტაირონ ელისს თავისი ესპანური კარიერის მანძილზე ასეთი სუსტი შეხვედრა აქამდე არასდროს ჩაუტარებია. მაგრამ ეს დროც დადგა, მან უქულოდ დაასრულა შეხვედრა. რაც მთავარია, ტაირონმა საკმაოდ ცოტა დრო გაატარა მოედანზე.

**ტაირონ ელისი:** *14 წუთი, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 3 დაკარგვა, 2 პერსონალური შენიშვნა, 3-დან 0 ორქულიანი, 1-დან 0 სამქულიანი.*

სულ ბოლოს ნიკოლოზ ცქიტიშვილის ახალ გუნდზეც ვიტყვით. მართალია, „ცქიტა" ჯერ ისევ თბილისშია, მაგრამ მაინც საინტერესო უნდა იყოს, თუ რა გუნდში გადავიდა ჩვენი ფორვარდი.

მადრიდის „ფუენლაბრადამ" ამჯერად მოიგო თამაში. ამ გუნდს ოთხი ტურის შემდეგ ორი მოგება და ორი წაგება აქვს. ამ შედეგით მადრიდელები მეცხრე პოზიციაზე არიან.

**გიორგი არაბული**



მანუჩარ მარკოიშვილი



# ცხადაძის ოთხთვიანი თუ ოთხწლიანი?

**საქართველოს** ხელბურთის ფედერაციამ საარჩევნო-საანგარიშო ყრილობის ჩატარების თარიღად 22 ნოემბერი დათქვა. ეს ამბავი ფედერაციაში ჩატარებულ სხდომაზე გადაწყდა და ისიც ითქვა, რომ კანდიდატების რეგისტრაცია 23 ოქტომბრიდან დაიწყება და არჩევნებამდე 15 დღით ადრე შეწყდება.

ახალ პრეზიდენტს 20 ან 21 დელეგატი აირჩევს, თუმცა მანამდე ყრილობაზე მოხსენება გაკეთდება და განვლილი ოთხი წლის მანძილზე გაწეული სამუშაო შეფასდება.

შეგახსენებთ, რომ ხელბურთის ამქარი თავკაცს წლეულს მეორედ აირჩევს — უწინდელ პრეზიდენტ თამაზ თევზაძის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, 29 ივლისს, ხელბურთის ფედერაციამ რიგგარეშე არჩევნები ჩაატარა და პრეზიდენტად ზაურ ცხადაძე აირჩია. მაშინ იმთავითვე იყო ცნობილი, რომ ნაოლიმპიადევს ხელბურთელები კიდევ ერთ არჩევნებს ჩაატარებდნენ და პრეზიდენტს ამჯერად ოთხი წლის ვადით აირჩევდნენ. ასე რომ, 22 ნოემბერს ხელბურთს თავი ოთხი წლით დაედგმება.

აქვე სხვა ამბებსაც გადავწვდეთ და ჩემპიონატზეც ვთქვათ. ასაკობრივი პირველობები უკვე მიმდინარეობს. ახალგაზრდული ჩემპიონატის გუნდები ამ დღეებში ერთ ტურსაც მოილევენ და მერე ცხრილის თავში მოქცეული ორი გუნდი უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას მიიღებს. ყოველ შემთხვევაში, ფედერაციას ასე სურს, რომ ორი გუნდი დიდების მარაქაში გარიოს. ჯერჯერობით ამ იდეას „სამტრედია" უყურებს სერიოზულად და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, წესით, ითამაშებს კიდეც უმაღლეს ლიგაში. აი, მეორე გუნდის ვინაობა კი ჯერაც საორჭოფოა და ვინძლო, არც არავინ გამოჩნდეს მსურველი.

უმაღლეს ლიგაზე ვსაუბრობთ და როგორ იქნება, „სტუ-თელავის" გასაჭირა არ ვახსენოთ. ადრეც გვეწერა და კიდევ გაგიმეორებთ, რომ მარადიულ ჩემპიონს დაფინანსების პრობლემა აქვს ამ მხრივ და ჯერაც არაფერია გარკვეული.

ფედერაციაში განაცხადის შესატან ბოლო ვადად 22 ოქტომბერია დასახელებული და ჯერ ერთ გუნდსაც არ გამოუთქვამს ოფიციალურად თამაშის სურვილი.

საქართველოს ნაკრებს კი ევროპის 2010 წლის შესარჩევში თამაშზე უარის თქმის მერე, წლეულს ერთი შანსილა აქვს ხელთ გაიქნიოს და თან საკმაოდ მაღალ დონეზეც ითამაშოს...

ნაკრები 25 ნოემბერს პოლონეთს ესტუმრება და იქაური ხელბურთის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ოთხთა ტურნირზე მოსინჯავს ძალებს. მასპინძლების გარდა, ჩვენებს მეტოქეობას გერმანიისა და ნორვეგიის ნაკრებები გაუწევენ — ოღონდ, დავაკონკრეტოთ, რომ მეტოქეები მეორე ნაკრებებით გვეთამაშებიან, თუმცა, როცა გერმანიას ეჯიბრები, მეორე კი არა, ვგონებთ, მესამეც არ არის სახუმარო საქმე. ასე რომ, ბიჭებს შეუძლიათ, პოლონეთში სერიოზული გამოცდილება მიიღონ. ტურნირის დამთავრების შემდეგ, 29 ნოემბერს, ჩვენები პოლონეთს კიდევ ერთხელ ეთამაშებიან.

მომავალ წელს კი, სავარაუდოდ, „ჩელენჯ-ტროფში" თამაში მოუწევთ.

**ლევსო მაისურაძე**



ზაურ ცხადაძე

# ჭანტურიამ ვიკინგებს ექვსჯერ ესროლა

**ხელბურთელთა** ჩემპიონთა ლიგამ ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩები ჩაამთავრა და მომდევნო წრეში გამსვლელი გუნდების კონტურებიც ნელ-ნელა გამოიკვეთა. სამი ტურის შემდეგ გამარჯვებებით ოთხი გუნდილა ტკბება. რუსულმა „დათვებმა" რუმინეთში წაიტეხეს კისერი და „სტიაუასთან" ორი ბურთით დამარცხდნენ. სხვათაგან C ჯგუფის თამაშები გამოვარჩიოთ, რაკილა იქ ჩვენებური რევაზ ჭანტურიაც თამაშობს. მისმა „მეტალურგმა" სტუმრად „კილთან" და „ბარსელონასთან" წაგებების შემდეგ შინ „დრამენი" მოიხელთა და გრანდებთან წაგებული თამაშების ჯავრი იყარა.

მაკედონიელებს გამარჯვებაში ექვსი გოლით რევაზ ჭანტურიაც შეეხიდა. ახლა ქართველის გუნდს კარგი შანსი გაუჩნდა, ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავოს და „ისეეფის" თასზე გადაინაცვლოს. „მეტალურგი" ჯგუფიდან გამსვლელი პირველ-მეორე ადგილისთვის რომ ვერ იბრძოლებს, ისედაც ცხადია.

ამავე ჯგუფის მთავარ თამაშში „ბარსამ" „კილი" მიიღო და 5300 ათასი კაცის წინ თავი შეირცხვინა. საკმაოდ დაძაბული თამაშის პირველი ტაიმში 15:15 დამთავრდა, მაგრამ მეორე ტაიმში სტუმრებმა ნიკოლა კარაბატიჩის ძალისხმევით იძლიეს, ვინც 7-ჯერ დაამწუხრა ესპანელები.

**ლევსო მაისურაძე**

**ჩემპიონთა ლიგა. კაცები**

ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური

A ჯგუფი

შამბერი (საფრანგეთი) 31:18 ჰამარბი (შვედეთი)
გრანიცასი (ლატვია) 21:37 პივოვარნა (სლოვენია)
შამბერი 6 ქულა, პივოვარნა 4, ჰამარბი 2, გრანიცასი 0

B ჯგუფი

სვედენბორგი (დანია) 30:26 სარაევო (ბოსნია)
დოუქსი (საბერძნეთი) 21:42 სიუდად რეალი (ესპანეთი)
სიუდად რეალი 6 ქულა, სვენდბორგი 4, სარაევო 2, დიუქსი 0

C ჯგუფი

ბარსელონა (ესპანეთი) 27:31 კილი (გერმანია)
მეტალურგი (მაკედონია) 37:30 დრამენი (ნორვეგია)
კილი 6 ქულა, ბარსელონა 4, მეტალურგი 2, დრამენი 0

D ჯგუფი

პრესოვი (სლოვაკეთი) 32:33 ჰანბოლდი (დანია)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 22:38 ჰამბურგი (გერმანია)
ჰამბურგი 6 ქულა, ჰანდბოლდი 4, პრეშოვი 2, ცრვენა ზვეზდა 0

E ჯგუფი

სტიაუა (რუმინეთი) 34:32 ჩეხოვსკი მედვედი (რუსეთი)
კოპერი (სლოვენია) 31:29 პორტლენდი (ესპანეთი)
ჩეხოვსკი მედვედი 4, სტიუაუა 4, პორტლენდი 2, კოპერი 2

F ჯგუფი

ფლენცბურგი (გერმანია) 38:20 ზაპოროჟიე (უკრაინა)
ჰოუკერი (ისლანდია) 27:20 ვეზპრემი უნგრეთი)
ფლენცბურგი 4 ქულა, ვეზპრემი 4, ჰოუკერი 4, ზაპოროჟიე 0

G ჯგუფი

ადემარრეალი (ესპანეთი) 39:33 ციურიხი (შვეიცარია)
ბრემენცი (ავსტრია) 32:34 მონპელიე (საფრანგეთი)
ადემარრეალი 6 ქულა, მონპელიე 4, ციურიხი 2, ბრემენი 0

H ჯგუფი

პიკი (უნგრეთი) 30: 36 ოსი გურანჯე (ხორვატია)
რაინ ნეიკერი (გერმანია) 35:25 ვისლა (პოლონეთი)
ოსი გურანჯე 5 ქულა, რაინ ნეიკერი 5, პიკი 2, ვისლა 0

# სარეიტინგო ადი-ჩადი



ოქსანა კალაშნიკოვა

18 წლის ქართველ ჩოგბურთელ ოქსანა კალაშნიკოვას ერთი კვირის წინ 25-ათასიან მექსიკურ ტურნირზე გამარჯვება დაუფასდა. გუშინ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და ოქსანამ, ვისაც 26 სარეიტინგო ქულა დაემატა, WTA-ს კლასიფიკაციაში ერთბაშად 166 ადგილით მაღლა აიწია და 389-ე პოზიციას უწია.

გვარიანი წინსვლა აქვს ეკა გორგოძესაც, ვისაც 17 წელი დეკემბერში შეუსრულდება. ეკამ ერთი კვირის წინ 10-ათასიანი ესპანური შეჯიბრის ფინალს უწია და ამის წყალობით მოიგო რა 69 პოზიცია, რეიტინგში მისთვის უმაღლეს, 705-ე საფეხურზე აინაცვლა.

სხვა ჩვენებურები, სულ კი რეიტინგებში კვლავაც 17 ქართველია (7 კაცი და 10 ქალი), დაახლოებით ისევ იქ არიან სადაც ერთი კვირის წინ იყვნენ.

| კაცები | |
|---|---|
| 540(-3) ირაკლი ლაბაძე | 48 |
| 945(-7) ლაზარე კუხალაშვილი | 11 |
| 1218(-3) ლადო ჩიხლაძე | 4 |
| 1253(-2) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1315(-3) ნიკოლოზ ბასილაშვილი | 3 |
| 1580(-10) ბექა ბუჩუკური | 1 |
| 1668(-10) დემეტრე თაქთაქიშვილი | 1 |

| ქალები | |
|---|---|
| 164(-1) ანა ტატიშვილი | 191 |
| 222(-5) მაკა ჩახნაშვილი | 126 |
| 254(+3) სოფო შაფათავა | 107 |
| 389(+166) ოქსანა კალაშნიკოვა | 53 |
| 661(+2) სოფო ქვაცაბაია | 19 |
| 669(+4) თინა ყავლაშვილი | 18 |
| 671(+5) მანანა შაფაქიძე | 18 |
| 705(+69) ეკა გორგოძე | 16 |
| 745(-5) სალომე დევიძე | 14 |
| 902(-2) სოფო მელიქიშვილი | 8 |

## კაცები

| განთესვის რეიტინგი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 7100 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5805 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4575 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 3420 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2315 |
| 6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2265 |
| 7. ენდი როდიკი (აშშ) | 2045 |
| 8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1750 |
| 9. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 1735 |
| 10. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 1690 |
| 11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1625 |
| 12. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1590 |
| 13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1525 |
| 14. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1485 |
| 15. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1485 |
| 16. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1410 |
| 17. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 1408 |
| 18. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1285 |
| 19. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 1275 |
| 20. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 1265 |

| საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1310 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 966 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 914 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 620 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 418 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 369 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 338 |
| 8. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 337 |
| 9. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 331 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 310 |
| 11. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 301 |
| 12. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 284 |
| 13. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 270 |
| 14. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 264 |
| 15. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 258 |
| 16. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 254 |
| 17. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 250 |
| 18. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 240 |
| 19-20. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 232 |
| 19-20. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 232 |

## ქალები

| განთესვის რეიტინგი | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4555 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 3782 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 3716 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3413 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3235 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3040 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2726 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2522 |
| 9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2372 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2051 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1752 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1747 |
| 13. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1698 |
| 14. ფლავია პენეტა (იტალია) | 1635 |
| 15. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1611 |
| 16. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1606 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1528 |
| 18. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1494 |
| 19. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1423 |
| 20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1337 |

| საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4786 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 3823 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 3681 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3235 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3078 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2623 |
| 7. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2522 |
| 8. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 9. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2436 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2131 |
| 11. ფლავია პენეტა (იტალია) | 1744 |
| 12. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1704 |
| 13. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1641 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1595 |
| 15. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1497 |
| 16. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1429 |
| 17. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1412 |
| 18. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1375 |
| 19. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1362 |
| 20. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1350 |

# მიურეი შანხაის რჩეულში



ენდი მიურეი

ენდი მიურეიმ ბრიტანული ჩოგბურთის ისტორიაში თავისი ადგილი უკვე სამუდამოდ გამონახა — ღია პირველობათა ერაში (1973 წლიდან) ის პირველი კუნძულელია, ვინც სეზონში ოთხი ტიტულის მოგება შეძლო. აქამდე ყველაზე შედეგიანი ბრიტანელი მარკ კოქსი გახლდათ, რომელმაც 1975-ში სამი ტურნირი მოინაგრა.

ყველაფერთან ერთად მიურეიმ მადრიდის მასტერსი მოიგო — ფინალში ფრანგი ჟილ სიმონი დაამარცხა 6:4 7:6 და ამ მხრივაც უნიკალურ მეჩოგნედ იქცა, რადგანაც აქამდე მასტერსის სერიის ორი ტურნირი არც ერთ ბრიტანელს არ მოეგო. მეტიც, მხოლოდ ტიმ ჰენმანსა (2003 პარიზში) და გრეგ რუსედკის (1998 იმავე პარიზში) დაესაკუთრებინათ ეს მეტად პრესტიჟული ტიტულები, ენდი-ბიჭმა კი წლეულს ორივეს აჯობა, რადგანაც მადრიდის გარდა ცინცინატის მასტერსზეც იჩემპიონა.

რაღა გასაკვირია, რომ ამ წარმატების შემდეგ მიურეიმ საბოლოოდ გაინაღდა წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაშის უფლება. შოტლანდიელს მტკიცედ უპყრია რეიტინგის მეოთხე საფეხური და, მისი თამაშის დონიდან გამომდინარე, უფრო მეტი შანსია, წინ წაიწიოს, ვიდრე ეს ადგილი ვინმეს დაუთმოს.

მიურეის გარდა შანხაის ბილეთი გაინაღდა ნიკოლაი დავიდენკომაც, რომელმაც მართალია, მადრიდში უსაზიზღრესად ითამაშა და პირველივე წრეში წააგო, მაგრამ უშუალო კონკურენტებმაც უხეიროდ იჩოგნავეს და სლავმა საწადელს ამიტომ უწია.

ასე რომ, დღეისთვის წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაშის უფლება უკვე ხუთ ჩოგბურთელს აქვს გარანტირებული — რაფაელ ნადალი (რომელმაც მადრიდში ნახევარფინალში გასვლით სეზონის მსოფლიოს პირველ ჩოგნად ჩამთავრების გარანტია მოიპოვა), როჯერ ფედერერი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, მიურეი და დავიდენკო ჩინეთში აუცილებლად ითამაშებენ.

დანარჩენი სამი ადგილისთვის კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდება, რადგანაც მათზე 7 მეჩოგნე აცხადებს პრეტენზიას. ჯერჯერობით უკეთეს მდგომარეობაში ენდი როდიკი და დავიდ ფერერი არიან, მაგრამ ბოლო კვირებში ისინი ძალიან უხეიროდ ჩოგნაობენ და თუ ასე გააგრძელეს, კარგს არაფერს უნდა ელოდნენ. შანხაიში გამსვლელ ბოლო, მერვე პოზიციაზე კი დღეისთვის ხუან მარტინ დელ პოტროა, რომელმაც ამ კვირას ჯეიმს ბლეიკი ჩამოაქვეითა.

ბლეიკი რეიტინგში საერთოდ მეათე ადგილამდე ჩამოვარდა, რადგანაც ის სიმონმაც შეავიწროვა. მადრიდული გმირობების შემდეგ ფრანგმა გვარიანად გაიუმჯობესა შანხაიში მოხვედრის შანსი და ახლა დელ პოტროს სულ რაღაც 6 ქულითღა ჩამორჩება. მეტიც, ფრანგს ესპანეთის დედაქალაქში რომ ეჩემპიონა, ახლა სულაც არგენტინელის ადგილზე იქნებოდა.

ამათ გარდა ჩინეთში წასვლის რეალური პრეტენზიები კიდევ სტანისლას ვავრინკასა და ფერნანდო გონსალესს აქვთ, თუმც ამ დუეტს სხვებზე მეტად მოუწევს თავის გამოჩენა. ჩვენ კი ეს ყველაფერი სეზონის მიწურულს სერიოზული ბატალიების ხილვის შანსს გვაძლევს, რომლის პიკიც პარიზის მასტერსი უნდა იყო.

აი, ქალთა შორის კი თითქმის ყველაფერი გარკვეულია — დოჰაში გასამართ წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაშის უფლება სვეტლანა კუზნეცოვამ გაინაღდა და ამით ელენა იანკოვიჩს, ანა ივანოვიჩს, სერენა უილიამსს, დინარა საფინასა და ელენა დემენტიევას შეუერთდა.

ვაკანტური ორი ადგილისთვის კი სამნი — ვინუს უილიამსი, ვერა ზვონარიოვა და აგნეშკა რადვანსკა იბრძვიან. უკვე თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კვირას ციურიხის ტურნირის მოგებით ვინუსმა ყველა თავისი ყველა პრობლემა გადაჭრა. ასე რომ, რადვანსკას ზვონარიოვსთან მოუწევს ბრძოლა, მაგრამ მაინც ძალიან საეჭვოა, მისი დაწევა შეძლოს — რუსი მთელი სამასი სარეიტინგო ქულით არის წინ. ეს კი უფსკრულია იმის გათვალისწინებით, რომ სეზონის ბოლომდე თითზე ჩამოსათვლელი ტურნირებიღაა დარჩენილი.

**ბაჩა ლომაძშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დიდი ჯონი



ჯონ ჰიგინსი

**ვერაფერს** იტყვი — სეზონის მესამე სარეიტინგო ტურნირი, შოტლანდიაში გამართული „დიდი პრიზი" დიდებული საყურებელი გამოდგა. გასული ერთი კვირის მანძილზე გლაზგოში ყველაფერი ვნახეთ, რითაც სნუკერის ქომაგები აღტაცებაში მოდიან და ერთადერთი, ამ ტურნირს მაქსიმალური ბრეიკი დააკლდა.

გლაზგოს ტურნირის მიმდინარეობას ჩვენ მაშინ ჩამოვცილდით, მეოთხედფინალების დრო რომ დადგა და მოდით, დღეს სწორედ აქედან დავიწყოთ, მით უმეტეს, რომ ერთი გვარიანი ამბავი მოხდა — 19 წლის ინგლისელმა ჯად ტრამპმა თავის სახელოვან თანამემამულეს, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ რონი ოსალივანს 5:4 მოუგო. ტრამპი თავიდანვე დაწინაურდა — 2:0, მაგრამ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა მალევე გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ 104-ქულიანი ბრეიკით წინაც გავიდა და მე-6 ფრეიმიც უნდა მოეგო, მაგრამ უმარტივეს სიტუაციაში შეცდა და ანგარიში 3:3 გახდა. მე-7 ფრეიმი ჯადმა მოიგო და მას მერვეში მატჩის დასრულებაც შეეძლო, მაგრამ რამდენიმე შეცდომა მანაც დაუშვა და საქმე გადამწყვეტ ფრეიმზე მიდგა, რომელშიც რონიმ სრული კრახი განიცადა. ის ცდებოდა ნებისმიერ პოზიციაში და შედეგად, ტრამპს ხუთჯერ მიეცა შედეგიანი სერიის დაწყების საშუალება. საქმე ისაა, რომ არც ჯადი ბრწყინავდა, მაგრამ ოსალივანს რაღაც დაემართა, რაღაც ისეთი, მხოლოდ მას რომ ემართება ხოლმე და შედეგად, მეხუთე ცდაზე ტრამპა მოაგროვა გამარჯვებისთვის საჭირო ქულები და პირველად უწია სარეიტინგო შეჯიბრის ნახევარფინალს.

დანარჩენ მეოთხედფინალებში ორგზის ჩემპიონმა შოტლანდიელმა ჯონ ჰიგინსმა 5:3 მოუგო ჩინელ დინ ჯუნხუს, ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა უელსელმა რაიან დეიმ 5:1 გაანადგურა ინგლისელი ჯეიმი კოუპი და თანაც, ორი ასქულიანი (112 და 129) ბრეიკი გააკეთა, ხოლო კიდევ ერთმა ინგლისელმა ალისტერ კარტერმა 5:3 აჯობა თავის ვეტერან თანამემამულეს, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონ სტივ დევისს.

ნახევარფინალებში წილისყრამ ჰიგინსი ტრამპს დაუპირისპირა, ხოლო დეი — კარტერს და ამ წყვილებმა, მართლაც რომ უმაღლესი დონის სნუკერი გააჩაღეს.

მრავალნაცადი ჰიგინსი 4:1 უგებდა ტრამპს, მაგრამ თინეიჯერმა ინგლისელმა არნახული ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და თანაფარდობა აღადგინა. მეტი ჯადმა ველარ შეძლო — ჯონმა 61 და 83-ქულიანი სერიებით მატჩი თავის სასარგებლოდ დაასრულა და შოტლანდიური პუბლიკის გასახარად ფინალს უწია.

კიდევ უფრო დრამატულად წარიმართა დეისა და კარტერის შეხვედრა. აქამდე სარეიტინგო ტურნირი არც ერთს მოეგო და არც მეორეს. წინა სეზონში დეი შანხაის მასტერსის ფინალში დამარცხდა თავის თანამემამულე დომინიკ დეილთან, ხოლო კარტერმა, ასევე თანამემამულესთან, ოსალივანთან, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი დათმო. გლაზგოში კი რაიანმაც და ალისტერმაც უშელავათო ბრძოლა გააჩაღეს ფინალში გასასვლელად. პირველივე ფრეიმი კარტერმა 107-ქულიანი ბრეიკით მოიგო, რასაც დეიმ 120-ქულიანი სერიით უპასუხა. მერე ანგარიში 2:2 გახდა და შესვენების შემდეგ დეი დაიქოქა — უელსელმა მიყოლებით სამ ფრეიმი მოიგო (აქედან ერთი 104, ხოლო მეორე 115-ქულინაი ბრეიკებით) და საბოლოო გამარჯვებას ერთი ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა — 5:2.

ასე არ უნდაო, ახლა კარტერი დაიქოქა — 5:3, 5:4 და 107-ქულიანი სერიით 5:5. გადამწყვეტ ფრეიმში დეი ოდნავ უფრო ზუსტი იყო და ფინალშიც ის გავიდა.

ფინალი უელსელისთვის კოშმარულად დაიწყო. ჰიგინსი თავიდანვე დაწინაურდა. უმძიმესი ნახევარფინალის შემდეგ დეი გადაღლილი ჩანდა და ჰიგინსი, თითქოს მარტო თამაშობდა. ცხრა ფრეიმის შემდეგ ანგარიში 7:2 გახდა შოტლანდიელის სასარგებლოდ და თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ ნურას უკაცრავად —დეიმ მაინც გამონახა დამატებითი რესურსები და ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა (7:8), მაგრამ ბოლომდე მაინც ველარ გაქაჩა — 9:7 და ჰიგინსმა თავის 16-წლიან პროფესიონალურ კარიერაში პირველად მოიგო სამშობლოში გამართული სარეიტინგო ტურნირი.

„დიდებული შედეგია. ამ გამარჯვებას ჩემს ქალიშვილს ვუძღვნი. მაგრად გამიმართლა — დეი ტურნირის საუკეთესო მოთამაშე იყო და იღბალი რომ არა, 7:2 ვერ დავწინაურდებოდი" — განაცხადა ჯონ ჰიგინსმა, ვისთვისაც ეს კარიერაში მე-19 სარეიტინგო ტიტული გახლავთ. რაც შეეხება უშუალოდ „დიდ პრიზს", ის 33 წლის დიდმა ჯონმა, უკვე მეოთხედ მოიგო, მაგრამ წინა წლებში (1994, 1999, 2005) ეს შეჯიბრი შოტლანდიაში არ ტარდებოდა.

თანამედროვე სნუკერისტთა შორის ჯონი ტიტულებით მეოთხეა სტივ ჰენდრის, სტივ დევისისა და რონი ოსალივანის შემდეგ და ისეთი პირი უჩანს, რომ შარშანდელი წარუმატებელი სეზონის შემდეგ ის კვლავ იბრუნებს ძველებურ ფორმას.

დაბოლოს, სნუკერისტთა ოფიციალურ და წინასწარ რეიტინგებს შემოგთავაზებთ. აქვე გეტყვით, რომ ოფიციალური რეიტინგი წინა ორი, ანუ 2006-07 და 2007-08 წლების სეზონების შედეგებით დგება და ამ რაიტინგის მოწინავე თექვსმეტეული სარეიტინგო ტურნირებზე ავტომატურადაა განთესილი, ხოლო წინასწარ რეიტინგში მხოლოდ შარშანდელი და წლევანდელი შედეგებია ასახული, ანუ უფრო რეალურად ასახავს ძალთა განლაგებას ამ წუთისთვის. ჩოგბურთთან თუ გავაკეთებთ ანალოგიას, ოფიციალური რეიტინგი განთესვის რეიტინგი გამოდის, ხოლო წინასწარი რეიტინგი — საჩემპიონო რბოლა.

## ოფიციალური რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. რონი ოსალივანი (ინგლისი) | 51150 |
| 2. სტივ მაგუაერი (შოტლანდია) | 45525 |
| 3. შონ მერფი (ინგლისი) | 45050 |
| 4. მარკ სელბი (ინგლისი) | 38325 |
| 5. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 37925 |
| 6. სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 34275 |
| 7. ალისტერ კარტერი (ინგლისი) | 34175 |
| 8. რაიან დეი (უელსი) | 33875 |
| 9. პიტერ ებდონი (ინგლისი) | 32975 |
| 10. ნილ რობერტსონი (ავსტრალია) | 32950 |
| 11. დინ ჯუნხუ (ჩინეთი) | 32194 |
| 12. ჯო პერი (ინგლისი) | 30425 |
| 13. გრემ დოტი (შოტლანდია) | 27144 |
| 14. მარკო ფუ (ჰონკონგი) | 27000 |
| 15. მარკ კინგი (ინგლისი) | 26000 |
| 16. მარკ ალენი (ჩრდ. ირლანდია) | 25725 |
| 17. მეტიუ სტივენსი (უელსი) | 25413 |
| 18. კენ დოჰერტი (ირლანდია) | 25119 |
| 19. ჯეიმი კოუპი (ინგლისი) | 24744 |
| 20. ჯო სვეილი (ირლანდია) | 24725 |

## წინასწარი რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. რონი ოსალივანი (ინგლისი) | 41825 |
| 2. სტივ მაგუაერი (შოტლანდია) | 32550 |
| 3. რაიან დეი (უელსი) | 28825 |
| 4. მარკ სელბი (ინგლისი) | 27525 |
| 5. ალისტერ კარტერი (ინგლისი) | 26325 |
| 6. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია) | 26175 |
| 7. შონ მერფი (ინგლისი) | 25975 |
| 8. ჯო პერი (ინგლისი) | 24425 |
| 9. მარკო ფუ (ჰონკონგი) | 23650 |
| 10. სტივ ჰენდრი (შოტლანდია) | 20675 |
| 11. დინ ჯუნხუ (ჩინეთი) | 20394 |
| 12. მარკ უილიამსი (უელსი) | 20219 |
| 13. დეივ ჰეროლდი (ინგლისი) | 19894 |
| 14. ჯეიმი კოუპი (ინგლისი) | 19294 |
| 15. მარკ ალენი (ჩრდ. ირლანდია) | 19025 |
| 16. პიტერ ებდონი (ინგლისი) | 18750 |
| 17. ბარი ჰოუკინსი (ინგლისი) | 18625 |
| 18. რიკი უოლდენი (უელსი) | 18125 |
| 19. სტიუარტ ბინემი (ინგლისი) | 17969 |
| 20. მარკ კინგი (ინგლისი) | 17150 |





ბერნარდ ჰოპკინსი კელი პავლიკს ასილაქებს

# ჰოპკინსის კიდევ ერთი ჰოპლა

**ბერნარდ ჰოპკინსმა** ამ უქმეებზე ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარა საშუალო წონაში დღეისთვის უძლიერეს მოკრივედ მიჩნეულ, ორი საჩემპიონო (WBF-სა და WBO-ს) ქამრის მფლობელ კელი პავლიკს. 43 წლის ვეტერანმა, წონის მიუხედავად, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივედ მიჩნეული მეტოქე პატარა ბავშვივით გაასილაქა და დაანახვა, რომ ჯერაც ბევრი რამ აქვს სასწავლი.

ჰოპკინსმა პირწმინდად დაჩაგრა ჩემპიონი და თითქმის ყველა რაუნდი მოუგო — ყოველ შემთხვევაში, სამი მსაჯიდან ორმა ვეტერანს 12-ვე რაუნდში გამარჯვება მიაკუთვნა.

ეს ყველასთვის შოკად იქცა, რადგანაც პავლიკი უეჭველ ფავორიტად მიიჩნეოდა. მაგრამ ჰოპკინსმა პირველივე რაუნდიდან დაიწყო ჩემპიონის მეთოდური გალახვა და ბოლომდე არ გაჩერებულა.

და ეს ყველაფერი მაშინ, როცა პავლიკი თავად არის ცნობილი შემტევი სტილითა და დარტყმების მრავალფეროვანი არსენალით. დღევანდელი მოკრივეების დიდი ნაწილისგან განსხვავებით, ეს ბიჭი აქტიურობაზე აკეთებს აქცენტს და სწორედ ამიტომ დაიმსახურა მაყურებელთა და სპეციალისტთა პატივისცემაც, მაგრამ ამ უქმეებზე საერთოდ არაფერი გამოუვიდა.

ჰოპკინსს აქამდეც არაერთხელ გაუმწარებია პავლიკის დარი შემტევი სტილის მეტოქეები, მაგრამ მაინც ყველა გაოცებული შესცქეროდა, თუ რამდენად რეგულარულად ხვდებოდა ვეტერანის მუშტები ჩემპიონს — პავლიკი მუდმივად წინ მიიწევდა, მაგრამ გალახვის მეტი არაფერი მიუღია.

ჰოპკინსმა აქ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ თანამედროვე კრივში ძნელად თუ მოიძებნება მისნაირი სტრატეგი. ვეტერანს, როგორც თვითონ ბრძოლის შემდეგ პრესკონფერენციაზე აღიარა, თურმე დაწვრილებით შეუსწავლია პავლიკის წინა ბრძოლები ჯერმეინ ტეილორთან და ედისონ მირანდასთან და ერთ დასკვნამდე მისულა — პავლიკთან ბრძოლისას ორივე ეს მოკრივე ძირითადად მარცხნივ მოძრაობდა, რითაც ჩემპიონს საშუალება ეძლეოდა ადვილად მისწვდენოდა მათ თავისი მომაკვდინებელი მარჯვენათი. სწორედ ამიტომ ამ ბრძოლისთვის მოსამზადებელ ეტაპზე ჰოპკინსმა უამრავი საათი დაახარჯა ერთ ილეთს — ყოველი შეტევის შემდეგ მეტოქეს არა მარცხენა, არა მარჯვენა მხარიდან შემოვლას.

ჰოდა, ამ უქმეებზეც სწორედ ამან გადაწყვიტა ყველაფერი — პავლიკი ვერ ასწრებდა, კორპუსი საკმარისად სწრაფად შემოებრუნებინა და მეტოქე მარჯვენათი მოსწვდომოდა, რის გამოც მისი დარტყმების უმეტესობა ჰაერში გაიავლდა.

„ხომ დაგიმტკიცეთ, რომ ისევ ძლიერი ვარ, მეტი რაღა უნდა ვქნა? მაინდამაინც ვინმე უნდა მოვკლა რინგზე, რომ მაღიაროთ? მე მართლაც ყველაზე დაუფასებელი მოკრივე ვარ და ამას წყალი არ გაუვა" — ნიშნს უგებდა ჰოპკინსი ჟურნალისტებს.

მართლაც, ამ ბრძოლით ჰოპკინსმა ბევრის გული მოიგო და აკი ზოგიერთმა სპეციალისტმა აღიარა კიდეც, ბერნარდი კრივის ისტორიაში 40-ს გადაბიჯებული ყველაზე ძლიერი მოკრივეაო. ეს შეიძლება ბევრს გადაჭარბებულადაც მოეჩვენოს, რადგანაც იმავე ჯორჯ ფორმანმა მძიმე წონაში საჩემპიონო ქამარი 45 წლის ასაკში მოიპოვა, არჩი მურს კი 43-მდე სულ ცოტა აკლდა, როცა ნახევრადმძიმე წონაში გაჩემპიონდა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ჰყოლია ისეთი ძლიერი მეტოქეები, როგორც ჰოპკინსს. პავლიკის გარდა ბოლო წლებში ამ ვეტერანმა ბეჭებზე გააკრა ანტონიო ტარვერი და ვინკი რაიტი, როცა ისინი თავიანთი დიდების მწვერვალზე იყვნენ.

**კახა ლომაშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

19 ოქტომბერი

**ჩიკაგო 4:2 ვანკუვერი**

2:1 0:0 2:1

0:1 დემიტრა (10), 1:1 სიბრუკი (11), 2:1 შარპი (16), 3:1 კეინი (47), 4:1 შარპი (54), 4:2 ჰ. სედინი (56)

**ანაჰაიმი 1:3 კაროლინა**

0:1 1:1 0:1

0:1 ბეიდა (6), 1:1 ბოშემენი (35), 1:2 ბრინდამორი (39), 1:3 სტაალი (60)

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№1 საავტომობილო ზეთი



ეპიზოდი, როდესაც კიმი რაიკონენმა ფელიპე მასა გაატარა

# ფერარის უცუდესი რბოლა

„ფერარის" დირექტორის სტეფანო დომენიჩალის აზრით, კვირას შანხაიში გამართული ჩინეთის დიდი პრიზი „სკუდერიასთვის" უცუდესი რბოლა იყო წლევანდელ სეზონში და ეს, მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ორივე პილოტი, ფელიპე მასაცა და კიმი რაიკონენიც, პოდიუმზე შედგა და იყო რბოლები, როდესაც „ფერარი" საერთოდ უქულოდ დარჩა.

დომენიჩალის უკმაყოფილების მიზეზი ის გახლავთ, რომ მისმა პილოტებმა ჩემპიონატის ლიდერს ლუის ჰემილტონს კონკურენცია ვერ გაუწიეს.

„ჰემილტონი მთელი უიქენდის მანძილზე ჩვენზე სწრაფი იყო — განაცხადა „ფერარის" შეფმა — ხატოვნად რომ ვთქვათ, ლუისი სხვა ლიგაში თამაშობდა, თანაც მას მისხალი შეცდომაც არ დაუშვია და არანაირი შანსი არ გვქონია. ამ ფონზე ჩვენ ალბათ მაქსიმუმს მივაღწიეთ. მაგრამ, ბუნებრივია, ეს არანაირად არ გვაკმაყოფილებს. შეიძლება ითქვას, რომ ჩინური ეტაპი, გერმანიის დიდ პრიზთან ერთად, უცუდესი იყო ჩვენთვის წლევანდელ ჩეზონში. საჭიროა უმოკლეს დროში მოვახდინოთ ყველაფრის ანალიზი, რათა ბრაზილიაში „მაკლარენის" პილოტებთან თანასწორად ბრძოლა შევძლოთ".

დომენიჩალიმ რბოლის ის ეპიზოდიც გაიხსენა, როდესაც რაიკონენმა მასა გაატარა, თუმც „ფერარის" ხალხი ასე არ ფიქრობს და ამბობს, რომ ბრაზილიელმა, უბრალოდ, სიჩქარით აჯობა ფინელს. „ეს ეპიზოდი აბსოლუტურად ნორმალური იყო და არ შეიძლება მისი შედარება 2002 წლის ავსტრიის დიდ პრიზზე მომხდართან, როდესაც რუბენს ბარიკელომ მიხაელ შუმახერი გაატარა. პრესკონფერენციაზე ჰემილტონმაც კი თქვა, რომ ფორმულა 1 გუნდური სპორტია და აქედან გამომდინარე, ჩვენ, უბრალოდ, კარგად შევასრულეთ ჩვენი სამუშაო. ლუისის ამ ნათქვამს სრულად ვეთანხმები" — განაცხადა დომენიჩალიმ.

„ფერარის" შეფს ძველი ჩემპიონი, ლეგენდარული ავსტრიელი ნიკი ლაუდაც ეთანხმება: „ჩემთვის ეს გასწრება აბსოლუტურად ლოგიკური იყო. თუ გუნდის ერთი პილოტი ტიტულისთვის იბრძვის, ბუნებრივია, რომ მეორემ გზა უნდა დაუთმოს."

„მასამ 8 ქულა გამოიმუშავა, რაც ექვსს ნამდვილად სჯობს. თანაც, ეს არ ყოფილა გუნდური ტაქტიკა. უბრალოდ, ფელიპემ პატიოსან ბრძოლაში გაასწრო კიმის" — ეს კი, უკვე ბრაზილიელის სარბოლო ინჟინრის, რობ სმედლის სიტყვებია.

სმედლის საპირისპიროს ამტკიცებს თავად რაიკონენი, რომელიც ამბობს, რომ მასა გუნდური ინტერესებიდან გამომდინარე გაატარა. „ჩვენ ვიცით, თუ რა გვინდა და სწორედ ის გავაკეთეთ. შექმნილ სიტუაციაში ეს ნორმალურია — ბრძანა კიმიმ და იქვე დაამატა — სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ მეორე და მესამე ადგილები დავიკავეთ. ლუისი თავიდანვე წინ გაიჭრა და მისი დაწევა ვერ შევძელით. იმედი მაქვს, ბრაზილიაში სხვანაირად იქნება".

**ბახა ლომაძე**

# მიზანი ერთია: საქმის დასრულება

ბრწყინვალე სტილში მოგებული ჩინეთის დიდი პრიზის შემდეგ „მაკლარენ-მერსედესის" ინგლისელი პილოტი ლუის ჰემილტონი ერთი ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა ჩემპიონობას — სეზონის ბოლომდე ერთადერთი, ბრაზილიის დიდი პრიზილა დარჩა და ლუისი 7 ქულას უგებს უახლოეს მდევარს, „ფერარის" ბრაზილიელ მრბოლ ფელიპე მასას.

„მთელმა სარბოლო უიქენდმა შესანიშნავად ჩაიარა. ჩვენი მანქანა, უბრალოდ ფანტასტიკური იყო. თანაც, ბრწყინვალე სტარტი ავიღე, ალბათ კარიერაში საუკეთესო და მთელი რბოლის მანძილზე არანაირი პრობლემა არ მქონია, რაც გუნდის მთელი პერსონალის დამსახურებაა, მათ უზარმაზარი სამუშაო გასწიეს. ახლა ჩემი უპირატესობა 7 ქულას შეადგენს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ საქმე უკვე დასრულებულია. შეიძლება, ეს გამარჯვება კიდევ ერთი ნაბიჯი იყოს ჩემი ოცნების ასრულებამდე. მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნოთ. მე მჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება" — განაცხადა ჰემილტონმა პრესკონფერენციაზე და არ შეიძლება მას არ დავეთანხმოთ იმაში, რომ საქმე დასრულებული ჯერ არ არის. ლუისი ხომ შარშანდელი ბოლო ეტაპის წინაც 7 ქულას იგებდა, მაგრამ სწორედ ბრაზილიაში, სეზონის, ალბათ ყველაზე უხეირო რბოლა ჩაატარა და ტიტული ფინელ კიმი რაიკონენს გადაულოცა.

თავისი პილოტის გამარჯვებით ძალიან კმაყოფილი დარჩა „მაკლარენის" შეფი რონ დენისი. „ლუისი ძალიან ყურადღებიანი და დისციპლინირებული იყო, საკუთარი თავისთვის პატარა შეცდომის უფლებაც კი არ მიუცია — ბრძანა დენისმა და დაამატა — გუნდმა მთელი უიქენდის მანძილზე დიდებულად იმუშავა. ახლა ბრაზილიამდე ორი კვირაა და ეს საკმარისი დროა, რათა ჩვენი ბოლიდი კიდევ უფრო უკეთესი გახდეს. ჩვენ გვჯერა საკუთარი თავის და გვჯერა, რომ ლუისი თავს გაართმევს „ფერარის" მრბოლებთან კონკურენციას. დარწმუნებული ვარ, ბრაზილიაში „ფერარისთვის" უფრო რთული რბოლა იქნება, რადგანაც ჰემილტონს საჩემპიონოდ მეხუთე ადგილიც ჰყოფნის. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იქნება — ვიყოთ კვლავაც დისციპლინირებულნი და მოვიპოვოთ ის მინიმუმი, რაც გამარჯვებისთვისაა საჭირო".

**ბახა ლომაძე**



# საშუალო კლასის სიმონჩელი

## დოქტორის 150-ე პოდიუმი

საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი, ვალენსიაში გასამართი ეტაპი დარჩა, მაგრამ გასარკვევი, თანაც სამივე კლასში, ფაქტობრივად, ყველაფერი გაირკვა.

„სამეფო", მოტოჯიპისა და „უმცროს", 125-ანთა კლასებში ჩემპიონები, კარგა ხანია, ცნობილები არიან და კვირას, როდესაც სეპანგის ტრეკზე მალაიზიის დიდი პრიზი ჩატარდა, „საშუალო", ანუ 250-იანთა კლასშიც გაირკვა ტიტულის მფლობელის ვინაობა — „გილერას" იტალიელმა მოტომრბოლმა მარკო სიმონჩელიმ მესამე ადგილი დაიკავა, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისთვის. სიმონჩელი 28 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს, მალაიზიაში გამარჯვებულ ესპანელ ალვარო ბაუტისტას და რადგანაც ერთ ეტაპზე მაქსიმუმ 25 ქულა გაიცემა, ვალენსიაში მარკო, უკვე მსოფლიოს ჩემპიონის რანგში იჯირითებს.

მალაიზიური ეტაპის მთავარი ინტრიგა, სწორედ ეს იყო და სიმონჩელიმ უპრობლემოდ გადაჭრა მის წინაშე მდგარი ამოცანა.

125-იანთა კლასში მალაიზიის დიდი პრიზი მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა, უნგრელმა გაბორ ტალმაშომ მოიპოვა და ამ გამარჯვებით გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე აინაცვლა. თავში კი ფრანგი მიშელ დი მელიოა, ვისაც სეპანგზე თავი დიდად არ მოუკლავს და ადრევე განაღდებული ტიტულის შემდეგ მეხუთე ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება „სამეფო" კლასს, იქ წლეულს იტალიელი „დოქტორი" ვალენტინო როსი ბატონობს, რომელმაც წინა ორი სეზონის ჩაგდების შემდეგ ისევ დაამტკიცა, რომ თანამედროვეობის საუკეთესო მტომრბოლია და „სამეფო" კლასში მე-6, სულ კი მე-8 საჩემპიონო ტიტული მოიპოვა.

როსის არც მალაიზიაში ჰყავდა ბადალი. „დოქტორმა" წლეულს, უკვე მეცხრე გამარჯვება იზეიმა და კიდევ ერთი შთამბეჭდავი რეკორდი დაამყარა — თავის ფანტასტიკურ კარიერაში 150-ედ შედგა პოდიუმზე. ამ 150-დან ოთხმოცდაათზე მეტი გამარჯვებებზე, ანუ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე მოდის და ეს, მართლაც განუმეორებელი შედეგია. მარტო წლევანდელს თუ ვიტყვით, ვალენტინომ 17 რბოლიდან 9 ხომ მოიგო, კიდევ ხუთჯერ — მეორე, ხოლო ერთხელ მესამე ადგილი დაიკავა, ანუ მხოლოდ ორი ეტაპი დაასრულა პოდიუმს მიღმა.

მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, ავსტრალიელი კეისი სტოუნერი მალაიზიაში მხოლოდ მეექვსე იყო, თუმც ესეც ეყო, რათა საერთო ჩავლაში მეორე ადგილი დაემტკიცებინა, რადგანაც უკვე 26 ქულას უგებს მესამეზე მყოფ ესპანელ დანიელ პედროსას. მართალია, სტოუნერმა თავის საჩემპიონო წოდებას, წლეულს წინ ვიცე დაამატა, მაგრამ ამ ვიცეობასაც თავისი ფასი აქვს, მით უმეტეს, რომ ავსტრალიელზე წინ მხოლოდ შეუდარებელი ვალენტინო როსია.

**ბახა ლომაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში**
**მე-17 ეტაპი. მალაიზიის დიდი პრიზი. სეპანგი. 19 ოქტომბერი**

**მოტო GP (21 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა") | 43 წთ 06,007 წმ |
| 2. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა") | 43.10,015 |
| 3. ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, „ჰონდა") | 43.14,543 |
| 4. ნიკი ჰაიდენი (აშშ, „ჰონდა") | 43.14,865 |
| 5. შინია ნაკანო (იაპონია, „ჰონდა") | 43.16,590 |

საერთო ჩათვლა: 1. როსი 357 ქულა; 2. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი") 255; 3. პედროსა 229; 4. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა") 182; 5. დოვიზიოსო 161

**250 კბ/სმ (20 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, „აპრილია") | 42 წთ 56,428 წმ |
| 2. ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) | 42.59,014 |
| 3. მარკო სიმონჩელი (იტალია, „გილერა") | 43.04,771 |
| 4. იუკი ტაკაჰაში (იაპონია, „ჰონდა") | 43.07,460 |
| 5. ალექს ესპარგარო (ესპანეთი, „აპრილია") | 43.10,274 |

საერთო ჩათვლა: 1. სიმონჩელი 256 ქულა; 2. ბაუტისტა 228; 3. მიკა კალიო (ფინეთი, KTM) 191; 4. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია") 176; 5. ტაკაჰაში 147

**125 კბ/სმ (19 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია") | 43 წთ 00,716 წმ |
| 2. ბრედლი სმითი (ბრიტანეთი, „აპრილია") | 43.04,132 |
| 3. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია") | 43.07,612 |
| 4. სანდრო კორტესე (გერმანია, „აპრილია") | 43.07,641 |
| 5. მიშელ დი მელიო (საფრანგეთი, „დერბი") | 43.07,831 |

საერთო ჩათვლა: 1. დი მელიო 248 ქულა; 2. ტალმაში 206; 3. კორსი 199; 4. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია") 187; 5. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია") 156

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კახა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00